პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 5 ივნისი, 1945 წ. № 110 (7325). ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ძალა. „პრავდის" მოწინავე. (1-ლი გვერდი)
მოსკოვი, კრემლი ამხანაგ სტალინს. (1-ლი გვერდი)
მოსკოვი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ამხანაგ ლ. პ. ბერიას. (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა. (1-ლი გვერდი)
გაზეთ „კომუნისტის" ოცდახუთი წლისთავი. (მე-2 გვერდი)
მილოცვები გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას ოცდახუთი წლისთავზე (1-ლი და მე-2 გვერდი)
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში. (მე-3 გვერდი)
ი. მ. სვერდლოვი (მე-3 გვერდი)
უცხოეთის ამბები. დეპეშები (მე-4 გვერდი)

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ძალა

ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა შორის საერთო აღიარება დაიმსახურა რუსმა ხალხმა, როგორც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელმა ძალამ. ეს აღიარება მან მოიპოვა თავისი თვალსაჩინო როლით ჩვენი ქვეყნის ხალხთა მთელ მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში გარეშე მტრების წინააღმდეგ და ჩვენი ქვეყნის ხალხთა განმათავისუფლებელ რევოლუციურ ბრძოლაში მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. რუსმა ხალხმა ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით პირველმა შექმნა ახალი ტიპის სახელმწიფო—სოციალისტური სახელმწიფო—რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკა, რომლის ნიმუშის მიხედვითაც შემდეგ იქმნებოდნენ სხვა საბჭოთა რესპუბლიკები, შემდეგ სსრ კავშირის შემადგენლობაში, რომ შევიდნენ.

რუსეთის ფედერატიულმა რესპუბლიკამ ჩაუყარა საფუძვლები ბევრი ეროვნების იმ შეთანხმებულ შემოქმედებით მუშაობას ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომელმაც კიდევ უფრო დიდი მასშტაბით მოიპოვა განვითარება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში განმტკიცდა ჩვენს ქვეყანაში ყველა რასისა და ერის თანასწორუფლებიანობის იდეოლოგია, ხალხთა მეგობრობის იდეოლოგია, რომელმაც ჩვენს სახელმწიფოს უძლეველი ძალა მისცა. ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი გახდა ჩვენი გამარჯვების ერთ-ერთი წყარო გერმანელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ ომში.

„საბჭოთა პატრიოტიზმი,—ამბობს ამხანაგი სტალინი, — ჰარმონიულად შეხამებულია საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალური ტრადიციები და ყველა მშრომელთა საერთო სასიცოცხლო ინტერესები".

რუსი ხალხის ერთ-ერთი შესანიშნავი ტრადიცია არის სამშობლოსადმი სიყვარულის უაღრესად მაღალი გრძნობის შეერთება ყველა სხვა ეროვნებისადმი პატივისცემასთან. მოწინავე რუსი ადამიანები ოდითგანვე ქადაგებდნენ ჰუმანიზმის, კეთილშობილებისა და სამართლიანობის დიად იდეებს. „ცოცხალი, ქმედითი პატრიოტიზმი, — სწერდა დობროლიუბოვი, — სწორედ იმით განირჩევა, რომ იგი გამორიცხავს ყოველგვარ საერთაშორისო მტრობას... ნამდვილი პატრიოტიზმი, როგორც კაცობრიობისადმი სიყვარულის კერძო გამოვლინება, ვერ ეგუება ცალკე ხალხებისადმი მტრობას..."

რუსმა ხალხმა შექმნა დიადი ეროვნული კულტურა, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა და ახდენს მსოფლიო კულტურის განვითარებაზე. მეცნიერებასა და ლიტერატურაში რუსი მეცნიერები და მწერლები ჰკაფავდნენ ახალ გზებს, ჰქმნიდნენ ნაწარმოებებს, რომლებიც ისტორიული მიჯნები ხდებოდნენ კაცობრიობის წინსვლითს მოძრაობაში. ლომონოსოვმა და მენდელეევმა, სეჩენოვმა და პავლოვმა, ტიმირიაზევმა და საბჭოთა ეპოქის რუს მეცნიერთა შესანიშნავმა პლეადამ, რომლებიც აღფრთოვანებული იყვნენ მშობელი ხალხის ინტერესებისადმი სამსახურის დიადი იდეით, ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს მთელი მსოფლიოს ხალხებს.

რუსეთი არის ლენინის სამშობლო, ლენინიზმის — რუსული და მსოფლიო კულტურის ამ უმაღლესი მიღწევის სამშობლო.

გერმანიის წინააღმდეგ ომში სსრ კავშირის გამარჯვებამ, რუსი ხალხის გამარჯვებამ სწორედ იმიტომ წარმოშვა ევროპის ყველა ხალხთა უდიდესი სიხარული, რომ ჩვენი ქვეყნის სიდიადე და ძლიერება არ ემუქრება არავის დამოუკიდებლობას, არამედ, პირიქით, არის ხალხთა თავისუფლებისა და ხალხთა შორის მშვიდობიანობის გარანტია, საწინდარი. და იღიდნენ ამჟამად კუთხეებში მიმალულმა ფაშიზმის ნაბოლარებმა, რომლებიც ლაპარაკობენ „საფრთხის შესახებ", რაც თითქოს რუსეთის გაძლიერების ფაქტიდან წარმოსდგება, რომ მათი ცილისწამება ვერ შესძლებს დაჩრდილოს საბჭოთა ხალხის, როგორც ცივილიზაციის მხსნელისა და ხალხთა თავისუფლების დამცველის სახელი.

სსრ კავშირის — ამ სახელმწიფოს შექმნის ისტორიაში, სადაც ყველა ერმა უაღრესად სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა, რუსი ხალხის სიდიადე მთელი ძლიერებით წარმოგვიდგება თვალწინ. ეს არის იმის ისტორია, თუ როგორ „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური შეუკრავს მუდმივათ დიდ რუსეთის ხალხს".

პირველი საბჭოთა რესპუბლიკა იყო რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკა. მალე მას შემდეგ, რაც რუსმა მუშებმა და გლეხებმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მოახდინეს დიდი ოქტომბრის რევოლუცია, საბჭოების სრულიად რუსეთის V ყრილობამ 1918 წლის 10 ივლისს მიიღო რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია. ლენინი და სტალინი იყვნენ ამ კონსტიტუციის შემქმნელნი. ამ კონსტიტუციით თავიანთი გამოხატულება ჰპოვეს ჩვენს ქვეყანაში მოსახლე ერების თანასწორუფლებიანობის იდეებმა, მასში აღნიშნული იყო უფლებრივი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველჰყოფდა რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის ვრცელ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა მცირე ეროვნების განვითარებას. რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის 1918 წლის პირველი კონსტიტუციის მეორე მუხლში ნათქვამი იყო: „რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა არსდება თავისუფალი ერების თავისუფალი კავშირის საფუძველზე როგორც საბჭოთა ნაციონალური რესპუბლიკების ფედერაცია".

რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია ნიმუში გახდა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისათვის — საბჭოთა ბელორუსიის 1919 წლის 4 თებერვლის პირველი კონსტიტუციისათვის, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1919 წლის 14 მარტის კონსტიტუციისათვის, ამიერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკების კონსტიტუციებისათვის. საბჭოთა ხელისუფლებამ რუსეთში თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე გამოაცხადა ფინეთისა და პოლონეთის ხალხთა უფლება შეექმნათ თავისთავადი, დამოუკიდებელი სახელმწიფოები.

რუსმა ხალხმა, რომელმაც მოახდინა თავისი დიდი რევოლუცია, ასე პრაქტიკულად განახორციელა ლენინურ-სტალინური პროგრამა ეროვნულ საკითხში და ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხისათვის უზრუნველჰყო თავისუფლება.

რუსმა ხალხმა, რუსეთის პირველმა საბჭოთა ფედერატიულმა სოციალისტურმა რესპუბლიკამ ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხისათვის ახალი ტიპის სახელმწიფოს მხოლოდ მაგალითი, ნიმუში როდი მოგვცა. რუსი ხალხი, როგორც უფროსი ძმა საბჭოთა ხალხების ოჯახში, ეხმარებოდა თავის ძმებს ახლებურად აეგოთ ცხოვრება, განევითარებინათ კულტურა — ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური, განმტკიცებულიყვნენ ეკონომიურად.

ბოლშევიკების პარტია წარმართავდა რუსი მუშების, საბჭოთა რუსეთის მოწინავე ადამიანების ამ დიად შემოქმედებით მუშაობას. პარტიის მე-10 ყრილობის გადაწყვეტილებაში ნაციონალური საკითხის შესახებ ნათქვამი იყო: „...პარტიის ამოცანა ის არის, რომ დაეხმაროს არაველიკორუსი ხალხების მშრომელ მასებს დაეწიონ წინწასულ ცენტრალურ რუსეთს".

ჯერ ოთხი, შემდეგ შვიდი, თერთმეტი და, ბოლოს, თექვსმეტი მოკავშირე რესპუბლიკა შევიდა მძლავრი მრავალეროვანი სახელმწიფოს — სსრ კავშირის შემადგენლობაში. და როდესაც გერმანელი იმპერიალისტები ჩვენს ქვეყანას დაესხნენ თავს, ისინი შეხვდნენ ყველა ეროვნების საბჭოთა ადამიანთა პატრიოტიზმის უძლეველ ძალას, საბჭოთა კავშირის ხალხთა მტკიცე და ურღვევ ერთიანობას, რომლებიც იბრძოდნენ დიადი სტალინური კონსტიტუციის დროშის ქვეშ. ოთხი წლის ბრძოლის შემდეგ გერმანიის იმპერიალიზმი გასრესილია გმირი წითელი არმიის მძლავრი ძალით, საბჭოთა კავშირის ეკონომიური და კულტურული ძლიერებით, რომელიც შექმნილია სსრ კავშირის ხალხთა შეთანხმებული მუშაობის წლებში, სსრ კავშირის ხალხებისა, რომლებსაც ხელმძღვანელობს რუსი ხალხი.

და ომში პირველმა და ყველაზე ძლიერმა მთელ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის — რუსეთის საბჭოთა ფედერატიულმა სოციალისტურმა რესპუბლიკამ — თავს იდო მთავარი, ძირითადი როლი გერმანელ დამპყრობთა განადგურების წმიდა და ძნელი ამოცანის შესრულებაში.

რუსმა ხალხმა ამ ბრძოლაში გამოიჩინა თავისი შესანიშნავი თვისებანი: ნათელი გონება, მტკიცე ხასიათი, მოთმინება. რუსი ხალხის უდიდესი ისტორიული დამსახურება ჩვენს ეპოქაში ის არის, რომ იგი არ შედრკა უმაგალითო ომის სიძნელეთა წინაშე, უდიდესი მსხვერპლი გაიღო გამარჯვების მოსაპოვებლად, ურყევად ერთგული იყო საბჭოთა წყობილებისა. ფრონტზე დროებითმა წარუმატებლობამ ვერ შეარყია მისი ნდობა საბჭოთა მთავრობისადმი, ვინაიდან რუს ხალხს მტკიცედ სწამდა თავისი მთავრობის პოლიტიკის სისწორე.

„და რუსი ხალხის ეს ნდობა საბჭოთა მთავრობისადმი აღმოჩნდა ის გადამწყვეტი ძალა,— ამბობს ამხანაგი სტალინი, — რომელმაც უზრუნველჰყო ისტორიული გამარჯვება კაცობრიობის მტერზე, — ფაშიზმზე".

ყველა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ყველაზე ვრცელი და ეკონომიურად და კულტურულად ყველაზე მძლავრი რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკა ამჟამადაც, დიადი გამარჯვების შემდეგ, არის საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ძალა. მისი ტერიტორია გადაჭიმულია ბალტიკისა და შავი ზღვის ნაპირებიდან წყნარ ოკეანემდე. მთელ ამ სივრცეზე გაისმის რუსული ენა. ჯერ კიდევ ვლადიმერ ილიას-ძე ამბობდა: „ვლადივოსტოკი შორს არის, მაგრამ ეს ქალაქი ხომ ჩვენია". დასავლეთით და აღმოსავლეთით რუსეთის ძალა, რუსეთის სამხედრო მამაცობა შეადგენს სსრ კავშირის ძლიერების დასაყრდენს, ჩვენი ქვეყნის ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაყრდენს. დიდი რუსეთი ახლაც ივლის წინ სსრ კავშირის ხალხთა შემოქმედებით მუშაობაში ჩვენი სამშობლოს სამხედრო-ეკონომიური ძლიერების შემდგომი გადიდებისათვის.

„პრავდის" 4 ივნისის მოწინავე

რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს VI სესიის გახსნის შესახებ

5 ივნისს, საღამოს 7 საათზე, კრემლში, რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნება რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს VI სესია.

საქართველომ შეასრულა მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა

საქართველომ შეასრულა მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა. ბევრმა რაიონმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა დავალება მარცვლეული კულტურების თესვის დარგში. წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა გეგმის გადამეტებით დათესეს 1.600-მდე ჰექტარი, ქარელის რაიონმა—500-ზე მეტი, გორის რაიონმა—700-მდე ჰექტარი და სხვ. (საქდესი).

საკდესი უარჰყოფს

ამერიკის ასოშიეიტედ პრესის სააგენტომ ცნობა გამოაქვეყნა, რომ ევროპაში მოგზაურობიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნებულმა სენატორმა ბრიუსტერმა თავის ინტერვიუში „ლონდონისა და პარიზის მაღალი თანამდებობის პირთა" დამოწმებით მოიყვანა მტკიცებანი გერმანელი სპეციალისტების, ადვოკატებისა და საქმიანი წრეების წარმომადგენელთა „ლიკვიდაციის" შესახებ, რასაც ვითომდა სჩადიან საბჭოთა კავშირის ხელისუფლების ორგანოები ბერლინის ტერიტორიაზე და წითელი არმიის მიერ დაკავებული გერმანიის სხვა რაიონების ტერიტორიაზე.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ მოყვანილი მტკიცებანი გერმანელი ინტელიგენციის „ლიკვიდაციის" შესახებ იმ რაიონებში, რომლებიც საბჭოთა ჯარების კონტროლს ქვეშ არიან, მოჭორილია და მათ ცილისმწამებლური ხასიათი აქვთ.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო ბელადო და მასწავლებელო!

ქალაქ თბილისის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული აქტივის კრება, პრესის მუშაკებთან ერთად, მიძღვნილი საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლი ორგანოს—გაზეთ „კომუნისტის" 25 წლისთავისადმი, თავის მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, ხალხთა ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს, კაცობრიობის ცივილიზაციის, თავისუფლებისა და კულტურის უსაშინელეს მტერზე საბჭოთა კავშირის გამარჯვების ორგანიზატორს!

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ძლევამოსილი დამთავრების სასიხარულო და საზეიმო დღეებში აღვნიშნავთ ჩვენ ბოლშევიკური პრესის სახელოვანი ორგანოს—გაზეთ „კომუნისტის" 25 წლისთავს.

ბოლშევიკური პრესა, რომელიც თქვენ შექმენით და რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობდით საქართველოს და ამიერკავკასიაში რევოლუციური მუშათა მოძრაობის ჯერ კიდევ გარიჟრაჟზე, მაგალითი იყო და არის ბოლშევიკური პრესის ყველა ორგანოსათვის.

„კომუნისტი" გაიზარდა სტალინური „ბრძოლის" სახელოვან ტრადიციებზე. ლენინური „ისკრა" და სტალინური „ბრძოლა" რევოლუციური სიმართლის, ბოლშევიკური მგზნებარე სიტყვის მატარებელნი იყვნენ, პოლიტიკურად ანათლებდნენ და რაზმავდნენ მასებს ექსპლოატატორული წყობილების დასამხობად თავდადებული ბრძოლისათვის.

ოცდახუთი წლის მანძილზე „კომუნისტს" მაღლა უჭირავს **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის ძლევამოსილი დროშა. იგი იბრძვის საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, ეწევა საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის სტალინური მეგობრობის იდეის, ბრძნული ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის პროპაგანდას, რაზმავს მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის ძალებს საბჭოთა საქართველოს სოციალისტური სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის.

დიდი სამამულო ომის დღეებში ბოლშევიკური პრესის მრავალრიცხოვან მუშაკებს, ისევე როგორც მთელ პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს, თქვენ აღაფრთოვანებდით საძულველი მტრის წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლისათვის, შრომითი გმირობისათვის. თქვენი ბრძნული მითითებები განსაზღვრავდნენ მოქმედების პროგრამას ომის თვითეულ ეტაპზე, გვასწავლიდნენ ბრძოლას და მტრისადმი სიძულვილს, გვინერგავდნენ გამარჯვების ურყევ რწმენას.

ჩვენი გული აღსავსეა თქვენდამი, მტერზე გამარჯვების ორგანიზატორისადმი, ულრმესი მადლობით, აღსავსეა კანონიერი სიამაყის გრძნობით, რომ ჩვენ ვმუშაობთ თქვენი გენიით გაცისკროვნებულ ეპოქაში, რომ ჩვენ ვდგევართ თქვენ მიერ გამოზრდილი ბოლშევიკური პრესის, მსოფლიოში ყველაზე მართალი და ყველაზე ქმედითი პრესის მუშაკთა არმიის რიგებში, რომ ჩვენ ვემსახურებით **ლენინ-სტალინის** დიად საქმეს, ყველაზე სამართლიან საქმეს.

ჩვენ ვამაყობთ იმ შეგნებით, რომ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უსაშინელეს მტერზე ჩვენი ხალხის ისტორიულ გამარჯვებაში არის ჩვენი წვლილიც, რომ ჩვენ ბრძნული სტალინური სიტყვა შეგვაქვს უფართოეს მასებში.

ძვირფასო ამხანაგო **სტალინ!**

ქართული ბოლშევიკური პრესის მუშაკები, ისევე როგორც მთელი ქართველი ხალხი, თქვენდამი უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგულებით გამსჭვალულნი, დაუღალავად მუშაობენ ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ. ჩვენ მუდამ მტკიცედ გვახსოვს თქვენი ბრძნული მითითება, რომ პრესა უნდა იზრდებოდეს არა დღეობით, არამედ საათობით,—რომ იგი ჩვენი პარტიის ყველაზე ბასრი და ყველაზე ძლიერი იარაღია.

პირობას გაძლევთ თქვენ, ამხანაგო **სტალინ**, რომ ჩვენ მომავალშიც მთელ ჩვენს ძალ-ღონეს მოვანდომებთ იმ ამოცანების წარმატებით განხორციელებას, რომლებიც თქვენ ბოლშევიკურ პრესას დაუსახეთ, დაუღალავად ვიმუშავებთ იმისათვის, რომ მთელი ჩვენი ძალებით ხელი შევუწყოთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისა და დიდების შემდგომ ზრდას, თქვენი ბრძნული სიტყვები და აზრები შევიტანოთ მასებში.

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს!

დიდება გმირ წითელ არმიას, ფაშისტური დამონებისაგან ხალხთა განმათავისუფლებელს!

გაუმარჯოს ხალხთა ბრძენ ბელადს, საბჭოთა ხალხის დიადი ისტორიული გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს — ჩვენს მშობლიურ **სტალინს!**

მოსკოვი

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ამხანაგ ლ. პ. ბერიას

ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ!

ქალაქ თბილისის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული აქტივის კრება, პრესის მუშაკებთან ერთად, მიძღვნილი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მებრძოლი ორგანოს—გაზეთ „კომუნისტის" 25 წლისთავისადმი, მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, ქართველი ხალხის სახელოვან შვილს, დიდი **სტალინის** ერთ-ერთ უახლოეს თანამებრძოლს!

გაზეთ „კომუნისტის" 25 წლისთავს ჩვენ აღვნიშნავთ სასიხარულო დღეებში, როცა საბჭოთა ხალხმა, გმირმა წითელმა არმიამ დიდი **სტალინის** ბრძნული წინამძღოლობით მიაღწიეს მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებას, როცა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი ჩვენი სრული გამარჯვებით დამთავრდა, როცა ჩვენი ძლევამოსილი დროშა ბერლინში ფრიალებს.

დიდი სამამულო ომის დღეებში საქართველოს ბოლშევიკური პრესის მუშაკები, ისევე როგორც დიდი საბჭოთა კავშირის ყველა პატრიოტი, პირნათლად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას სამშობლოს წინაშე, არ ზოგავდნენ ძალ-ღონეს ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვებისათვის, დიდი **სტალინის** მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის.

თქვენ საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში დანერგეთ მუშაობის სტალინური სტილი, აღზარდეთ პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი, დიდი **სტალინისადმი** უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით. თქვენი ხელმძღვანელობით გამოიზარდნენ ბოლშევიკური პრესის კადრები, რომლებიც დაუღალავად მუშაობენ ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ქართველი ხალხი, ამიერკავკასიის სხვა ხალხებთან ერთად, თავისი თავისუფლების შენარჩუნებას უნდა გიმადლოდეთ თქვენ, თავის სახელოვან შვილს, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთ უაღრესად თვალსაჩინო მოღვაწეს. საქართველოს და ამიერკავკასიის ხალხები არასოდეს არ დაივიწყებენ, რომ 1942 წლის ყველაზე მძიმე განსაცდელის პერიოდში, როცა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები თითქოს მიუახლოვდნენ თავიანთი შავბნელი განზრახვის განხორციელებას—აეკლოთ ამიერკავკასიის აყვავებული რესპუბლიკები,—თქვენ, ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ, მოხვედით ჩვენთან, როგორც დიდი **სტალინის** წარმოგზავნილი, და გენიალური სტალინური გეგმით მოაწყვეთ კავკასიის დაცვა და მის მისადგომებზე მტრის განადგურება.

აღვნიშნავთ რა გაზეთ „კომუნისტის" 25 წლისთავს, ჩვენ მტკიცედ გვახსოვს თქვენი მრავალგზისი მითითებანი ბოლშევიკური პრესის ამოცანების შესახებ და მომავალშიც ვიხელმძღვანელებთ ამ მითითებებით.

პირველად თქვენ გააშუქეთ მეცნიერული მარქსისტული ანალიზით ბოლშევიკური პრესის გზა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, გამოარკვიეთ და განსაზღვრეთ მისი ადგილი საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მთელ სახელოვან ისტორიაში.

ჩვენ სავსებით შეგნებული გვაქვს ჩვენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. ჩვენი ძალ-ღონისა და ენერგიის დაუზოგავად მომავალშიც დავიცავთ სახელოვან ტრადიციებს ბოლშევიკური პრესისას, რომელიც საქართველოსა და ამიერკავკასიაში პირველად შექმნა თვითონ სტალინმა და თვითვე უშუალოდ ხელმძღვანელობდა მას მრავალი წლის მანძილზე.

პირობას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ, რომ ჩვენ, საბჭოთა საქართველოს პრესის მუშაკები, კიდევ უფრო ფართოდ ვაწარმოებთ **მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის** დიადი მოძღვრების პროპაგანდას, დაუღალავად ვიმუშავებთ მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც კი ძალგვიძს, ბოლშევიკური პრესის წინაშე პარტიისა და დიდი **სტალინის** მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს დიდი **სტალინის** ერთგულ მოწაფეს და თანამებრძოლს, ბოლშევიკური პარტიის სახელოვან შვილს, ჩვენს ძვირფას და საყვარელ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!

დიდება ხალხთა ბელადსა და მასწავლებელს, გენიალურ მხედართმთავარს, დიდ მარშალს, ჩვენს მშობლიურ **სტალინს!**

თბილისი

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას

„პრავდის" რედაქცია მხურვალედ ულოცავს საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლ ორგანოს—გაზეთ „კომუნისტს" მისი 25 წლისთავის დღეს.

„კომუნისტი" წმიდად იცავდა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიაში განთქმული სტალინური „ბრძოლის" სახელოვან ტრადიციებს და მაღლა ეჭირა ლენინ-სტალინის საქმისათვის ბრძოლის დროშა. იგი ღირსეულად ასრულებდა და ასრულებს კოლექტიური პროპაგანდისტის, ბოლშევიკური აგიტატორისა და საქართველოს მშრომელთა ორგანიზატორის თავის საპატიო როლს. გაზეთს დაუღალავად შეაქვს ხალხის მასებში დიდ რუს ხალხთან და ჩვენი სამშობლოს სხვა ხალხებთან ქართველი ხალხის მეგობრობის იდეა და თანმიმდევრობით იბრძვის ნაციონალურ საკითხში ლენინურ-სტალინური პრინციპების განხორციელებისათვის.

სამამულო ომის წლებში გაზეთმა „კომუნისტმა" საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას უდიდესი დახმარება გაუწია იმით, რომ თავის მკითხველებს უნერგავდა ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის, სამშობლოსადმი, პარტიისადმი, ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების კეთილშობილურ გრძნობებს.

„პრავდის" რედაქცია რწმენას გამოსთქვამს, რომ გაზეთი „კომუნისტი" შემდეგშიც საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტიური თანაშემწე იქნება მასების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის, ბოლშევიკური პარტიის გარშემო მათი დარაზმვის საქმეში.

„პრავდის" რედაქცია

თბილისი

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას

გაზეთ „იზვესტიის" სარედაქციო კოლეგია მიესალმება და ულოცავს გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის ყველა თანამშრომელს და მკითხველებს გაზეთის 25 წლისთავის დღეს.

მტკიცე რწმენას გამოვთქვამთ, რომ გაზეთი „კომუნისტი" მომავალშიც იქნება დიადი სოციალისტური სამშობლოსადმი, ჩვენი საბჭოთა მთავრობისა და სახელოვანი ბოლშევიკური პარტიისადმი თავდადებული სამსახურისათვის ქართველი ხალხის მასების მობილიზაციის მძლავრი მებრძოლი ორგანო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გაზეთი მომავალშიც იქნება სსრ კავშირის ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების ისეთივე მძლავრი მქადაგებელი, დიდი რუსი ხალხის გარშემო მასების დარაზმვის ისეთივე ძლიერი იარაღი, როგორიც იგი იყო განვლილი 25 წლის მანძილზე.

გისურვებთ ახალ-ახალ წარმატებას ჩვენი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის მუშაობაში.

სსრ კავშირის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების „იზვესტიის" სარედაქციო კოლეგია

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანოს—გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის მუშაკების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანოს — გაზეთ „კომუნისტის" 25 წლისთავთან დაკავშირებით, დაჯილდოებულ იქნან გაზეთის რედაქციის შემდეგი მუშაკები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი:

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **ჯიბლაძე** გიორგი ნიკოლოზის-ძე — გაზეთ „კომუნისტის" პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე
2. **ნანიტაშვილი** ბორის გრიგოლის-ძე — გაზეთ „კომუნისტის" პასუხისმგებელი რედაქტორი
3. **წივწივაძე** შალვა ლეონტის-ძე — პოლიგრაფიულ კომბინატ „კომუნისტის" დირექტორი

„საპატიო ნიშნის" ორდენით

1. **გამყრელიძე** შალვა გრამიტონის-ძე — სტილისტი-მთარგმნელი
2. **კაიტანჯიანი** სტეფანე ალექსანდრეს-ძე — გამომცემლობა „კომუნისტის" დირექტორი
3. **კელენჯერიძე** ანტონ კირილეს-ძე — გაზეთ „კომუნისტის" ძველი მუშაკი, ამჟამად გაზეთ „საბჭოთა აჭარის" პასუხისმგებელი რედაქტორი
4. **კუნჭულია** თევდორე სიმონის-ძე—გაზეთ „კომუნისტის" სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე და პარტბიუროს მდივანი
5. **ლომთაძე** დიმიტრი ამირანის-ძე — სამრეწველო და სატრანსპორტო განყოფილების გამგე
6. **მშველიძე** ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე — სტილისტი-მთარგმნელი
7. **ებანოიძე** ლევან ივლიანეს-ძე — გაზეთ „კომუნისტის" პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"

1. **აბაიშვილი** მინა სოფრომის-ძე — პოლიგრაფიულ კომბინატ „კომუნისტის" საროტაციო საამქროს უფროსი
2. **გოგოლაშვილი** შალვა ესეს-ძე — სალინოტიპო საამქროს ინსტრუქტორი
3. **ჟივიძე** გიორგი გრიგოლის-ძე — სტამბა „კომუნისტის" დამკაბადონებელი
4. **ნადარეიშვილი** ისაკი პოლიკარპეს-ძე — სასტერეოტიპო საამქროს უფროსი.
5. **ჩხაიძე** გრიგოლ თეოფილეს-ძე — სალინოტიპო საამქროს უფროსი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1945 წლის 4 ივნისი.

გაზეთ „კომუნისტის" 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება

4 ივნისს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში შედგა ქალაქ თბილისის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტივის საზეიმო კრება, პრესის მუშაკებთან ერთად, მიძღვნილი გაზეთ „კომუნისტის" 25 წლისთავისადმი.

თეატრის დარბაზი მორთულია სადღესასწაულოდ.

კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, გ. სტურუა, მ. ბარამია, ი. რაფავა, ვ. ბუჯიაშვილი, ა. თოფურიძე, პ. შარია, მ. ჯაში, ს. ხოშტარია, ზ. ჩხუბიანიშვილი, ს. იმხანოვი, ე. ჩერქეზია, ი. კოჭლამაზაშვილი, ვ. გოჩაშვილი, ვ. ეგნატაშვილი, ვ. გრიგორიანი, ბ. ნანიტაშვილი, სახალხო კომისრები, პარტიის ქალაქ თბილისის რაიკომთა მდივნები, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის წარმომადგენლები.

აქტივის კრება გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. ჩერქეზიამ.

კრების საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღფრთოვანებით და ოვაციით ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ **სტალინის** მეთაურობით.

„კომუნისტის" 25 წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა გაზეთის პასუხისმგებელმა რედაქტორმა ამხ. ბ. ნანიტაშვილმა.

თავის მოხსენებაში ამხ. ნანიტაშვილმა დაწვრილებით ილაპარაკა საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლი ორგანოს გაზეთ „კომუნისტის" მიერ განვლილი სახელოვანი გზის შესახებ, მოიყვანა მკაფიო მაგალითები, რომლებიც ახასიათებენ გაზეთის მუშაობას 25 წლის მანძილზე.

— ჩვენი გაზეთის კოლექტივი, მისი მრავალრიცხოვანი აქტივი დიდ სიხარულს განიცდის.

ჩვენ მივიღეთ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მისალმება.

ამხ. ბერიამ გაზეთს უსურვა მომავალში ახალ-ახალი წარმატებანი ლენინ-სტალინის პარტიის დროშის ქვეშ ქართველი ხალხის ორგანიზაციისა და დარაზმვის საქმეში ბელადისა და მასწავლებლის დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით სოციალიზმის მშენებლობის ამოცანების შესასრულებლად. გაზეთის მუშაკთა კოლექტივს, მრავალრიცხოვან მკითხველს, გაზეთის აქტივს ამხ. ლ. ბერიას მისალმება თავისი მუშაობის საბრძოლო პროგრამად მიაჩნია.

უდიდესი აღფრთოვანებით, მქუხარე ოვაციით კრება იღებს მისალმებას დიდი **სტალინისადმი**.

კრებამ ხანგრძლივი ტაშით მიიღო მისასალმებელი წერილი დიდი **სტალინის** ერთგული თანამებრძოლის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიასადმი.

დასასრულ დიდი კონცერტი გაიმართა, ქალაქის საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით. (საქდესი).

გაზეთ „კომუნისტის“ ოცდახუთი წლისთავი

დღეს საქართველოს ბოლშევიკების ორგანოს — გაზეთ „კომუნისტის“ ოცდახუთი წლისთავია. გაზეთ „კომუნისტის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1920 წლის 3 ივნისს. საქართველოში მაშინ ბატონობდნენ ხალხის უბოროტესი მტრები — მენშევიკები.

„კომუნისტი“ წმიდად იცავდა ი. ბ. სტალინისა და ვ. კეცხოველის მიერ 1901 წელს დაარსებულ გაზეთ „ბრძოლის“ ბოლშევიკურ ტრადიციებს და თავისი არსებობის დასაწყისიდანვე მაღლა ეჭირა საქართველოში სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის დროშა, ხელს უწყობდა ბოლშევიკური ორგანიზაციების განმტკიცებას, ამხილებდა მენშევიკების კონტრრევოლუციურ პოლიტიკას, იცავდა მშრომელთა ინტერესებს, რაზმავდა მათ მენშევიკური მთავრობის დასამხობად და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

„კომუნისტმა“ სწრაფად მოიპოვა უდიდესი ავტორიტეტი და სიყვარული საქართველოს მშრომელებში. ქართველი ხალხი დიდი სიხარულით შეეგება ბოლშევიკური გაზეთის დაბადებას და ყოველმხრივ ეხმარებოდა მას. ეს, რასაკვირველია, არ მოსწონდათ ხალხის დაუძინებელ მტრებს —მენშევიკებს. მენშევიკებმა სასტიკი დევნა დაუწყეს „კომუნისტს“. 1920 წლის 13 ივნისს, პირველი ათი ნომრის გამოსვლის შემდეგ, მენშევიკურმა მთავრობამ აკრძალა გაზეთ „კომუნისტის“ გამოშვება. მაგრამ ხუთი დღის შემდეგ იგი გამოვიდა ახალი სახელწოდებით „საქართველოს კომუნისტი“, ხოლო 1920 წლის 17 ივლისს იგი კვლავ დახურეს.

საქმეში ჩაერია რსფს რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოში ამხ. კიროვი. მან მენშევიკურ მთავრობას მოსთხოვა დაეცვა რსფს რესპუბლიკასთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების ის პუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა კომუნისტური პარტიისა და მისი ორგანოს ლეგალიზაციას. მუშები გაფიცვებს აწყობდნენ მათი მშობლიური ბოლშევიკური გაზეთის დახურვის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

ყოველივე ამან მენშევიკური მთავრობა აიძულა გაზეთის გამოშვების ნება დაერთო. 25 ივლისს გაზეთი კვლავ გამოდის და 1920 წლის დამლევამდე იგი გამოდიოდა „ახალი კომუნისტის“ სახელწოდებით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაზეთი თავისი პირვანდელი სახელწოდებით გამოდის. იგი ყოველმხრივ ცდილობს დაეხმაროს ქართველ ბოლშევიკებს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებისათვის, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გატარებისათვის წარმოებულ მათს ბრძოლაში. ამ პერიოდში გაზეთმა დიდი როლი შეასრულა ნაციონალ-უკლონისტურ ელემენტებთან საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლაში, ამხილებდა დიდმპყრობელურ და ადგილობრივ შოვინიზმს, იბრძოდა პარტიული რიგების მონოლიტურობისა და ბოლშევიკური დარაზმულობისათვის.

ლენინის წერილმა „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნის, მთიელთა რესპუბლიკის ამხ. კომუნისტებისადმი“ და ამხანაგ სტალინის ცნობილმა მოხსენებამ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის საერთო კრებაზე — „კომუნიზმის მორიგი საკითხების შესახებ საქართველოსა და ამიერკავკასიაში“, რომლებიც „კომუნისტის“ ფურცლებზე 1921 წელს დაიბეჭდა,—ამ ისტორიულმა დოკუმენტებმა დარაზმეს საქართველოს მშრომელები საბჭოთა რესპუბლიკის განსამტკიცებლად. ეს დოკუმენტები საფუძვლად დაედო გაზეთის მუშაობასაც, სოციალისტური მშენებლობის ამოცანების პროპაგანდასა და ნაციონალიზმთან ბრძოლას.

„კომუნისტის“ მუშაობაში ახალი აღმავლობა იწყება 1931 წელს, როცა საქართველოს ბოლშევიკებს სათავეში უდგება დიდი სტალინის მოწაფე და თანამებრძოლი ამხანაგი ბერია. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და უშუალოდ ამხანაგ ბერიას ხელმძღვანელობით გაზეთმა თანმიმდევრული ბრძოლა გააჩაღა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების — ამიერკავკასიისათვის ისტორიული დადგენილების შესრულებისათვის. ამ დადგენილებამ, რომელიც მიღებულ იქნა ამხანაგ სტალინის ინიციატივით, მთელი რიგი უაღრესად სერიოზული ამოცანები დაუსახა ამიერკავკასიის ბოლშევიკებს: გაეძლიერებინათ მასობრივ-პოლიტიკური, ინტერნაციონალურ-აღმზრდელობითი მუშაობა მუშათა და გლეხთა მასებში, განემტკიცებინათ პარტიული ორგანიზაციების რიგები, აემაღლებინათ პარტიული მუშაობის ხარისხი...

სტალინურ ხუთწლედთა მანძილზე გაზეთი ყოველმხრივ აშუქებდა საქართველოს ბოლშევიკებისა და ყველა მშრომელთა მჩქეფარე შემოქმედებით საქმიანობას, რომელიც მიმართული იყო რესპუბლიკაში ახალი ინდუსტრიული კერების შექმნისაკენ, მისი მრეწველობის განვითარებისაკენ, ქვანახშირის, მარგანეცის, ნავთის ამოღების გადიდებისაკენ. არანაკლები ყურადღებით ახდენდა იგი საკოლმეურნეო წყობილების გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის, საქართველოს სოფლის მეურნეობის აყვავებისათვის საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლის პოპულარიზაციას.

ხალხთა მეგობრობის სტალინური იდეის ერთგული გაზეთი „კომუნისტი“ გამოვიდა საქართველოს, სომხეთისა და უკრაინის კოლმეურნეთა შეჯიბრების ინიციატორად. საქართველოში უკრაინისა და სომხეთის კოლმეურნეთა ჩასვლა, მათი დაუვიწყარი შეხვედრა ქალაქ გორში, იმ სახლთან, სადაც დიდი სტალინი დაიბადა, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის, ხალხთა მეგობრობის ზეიმის ბრწყინვალე დემონსტრაციად გადაიქცა.

გაზეთი დიდ ყურადღებას უთმობდა მოწინავე პარტიული ორგანიზაციების გამოცდილების გაშუქებას. იგი კონკრეტული მაგალითებით უჩვენებდა წარმოებაში მომუშავე კომუნისტების ავანგარდულ როლს.

„კომუნისტი“ ძვირფას დახმარებას უწევდა ბოლშევიკური პარტიის ისტორიის შემსწავლელ ამხანაგებს, რეგულარულად ათავსებდა თეორიულ სტატიებს, კონსულტაციებს, პასუხებს შეკითხვებზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გაზეთის დიდი მუშაობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში ბოლშევიზმის გარიჟრაჟზე ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ მასალების შეგროვება — დაბეჭდვის საქმეში. ამხანაგ ბერიას მოხსენებამ „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, რომელიც მან 1935 წელს წაიკითხა, ძველ მუშებს მეხსიერებაში აღუდგინა რევოლუციური ბრძოლის მრავალი ეპიზოდი, რომლებიც განუყრელად დაკავშირებულია დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის სახელთან. გაზეთი ბეჭდავდა მოგონებებს, ნაამბობს იმ მუშებისას, რომლებიც ამხანაგ სტალინს შეხვედრიან, მისი ხელმძღვანელობით უმუშავნიათ ამიერკავკასიის ქალაქებსა და რაიონებში. ამ მასალებმა მრავალი ძვირფასი ცნობა მოგვცა ამხანაგ სტალინის ჭაბუკობის წლების შესახებ, რევოლუციური ბრძოლის სტალინური სკოლის შესახებ. ამ მასალების ნაწილი გაზეთმა ცალკე წიგნად გამოსცა.

ჩვენს სოციალისტურ სამშობლოზე ჰიტლერული გერმანიის ვერაგული თავდასხმის პირველი დღეებიდანვე „კომუნისტმა“ გააჩაღა პროპაგანდა სტალინური ლოზუნგისა „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის“. იგი კონკრეტული ნიმუშებით ცხადჰყოფდა თუ როგორ უნდა გარდაექმნას სამხედრო ყაიდაზე საწარმოთა, კოლმეურნეობათა, დაწესებულებათა მუშაობა, აკრიტიკებდა ჩამორჩენილთ, ეხმარებოდა მათ დასწეოდნენ მოწინავეებს.

სამამულო ომის დაწყებიდანვე „კომუნისტი“ შეუპოვრად იბრძოდა ფრონტისათვის ახალ-ახალი სახის პროდუქციის გამოსაშვებად, ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური მობილიზაციისა და გამოყენებისათვის, მრეწველობაში ნაკადური მეთოდის დანერგვისათვის, ქვანახშირის, მარგანეცის, ნავთის ამოღების გადიდებისათვის. გაზეთის ფურცლებზე ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებას სტახანოველები, ინჟინრები, ტექნიკოსები.

ომის წლებში გაზეთი სისტემატურად აშუქებდა სოფლის მეურნეობის აქტუალურ საკითხებს, ცდილობდა მიეღწია მეცხოველეობის, მემარცვლეობის, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების შემდგომი განვითარებისათვის.

„კომუნისტის“ ფურცლებზე თვალსაჩინო ადგილი დაიკავა მასალებმა, რომლებიც მკითხველებს ზრდიდნენ საბჭოთა პატრიოტიზმის, სამშობლოსადმი ერთგულების სულისკვეთებით. ამ საქმეს დიდი სამსახური გაუწიეს სტატიებმა, კორესპონდენციებმა და ნარკვევებმა გმირული საბჭოთა ზურგის შესახებ, საქართველოს მეომართა საბრძოლო გმირობის შესახებ, რომლებიც გულადად იბრძოდნენ ლენინგრადის კედლებთან და მოსკოვის მისადგომებზე, კავკასიის მთების ძირში და გმირ სტალინგრადში, აღმოსავლეთ პრუსიაში და გერმანიის დედაქალაქში.

„კომუნისტი“ მუდამ განამტკიცებს თავის კავშირს მკითხველთა მასებთან. საქართველოს ათასობით მშრომელი, რომლებიც რედაქციას შეკითხვებით, საჩივრებით, წერილებით მიმართავდნენ, იღებდნენ მისგან დროულ, ამომწურავ პასუხს. გაზეთში თანამშრომლობს 2 ათასამდე მუშსოფლკორი, პარტიული მუშაკი, აგრონომი, ინჟინერი და ტექნიკოსი, მეცნიერი, მწერალი, ხელოვნების მოღვაწე.

ამ აქტივის დახმარებით, გაზეთი, უეჭველია, ამჟამად წარმართავს თავის ღონისძიებებს თავისი მუშაობის გაუმჯობესებისაკენ, თავის ნაკლოვანებათა აღმოფხვრისაკენ. უფრო საფუძვლიანად უნდა შუქდებოდეს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების უმდიდრესი ცხოვრება, ფართოდ უნდა გაჩაღდეს მარქსისტულ-ლენინური იდეების პროპაგანდა, გაძლიერდეს ადგილობრივი მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკა, მეტი ყურადღება დაეთმოს გაზეთის გარეგან გაფორმებას.

„პრავდა“, 3 ივნისი.

ყირგიზეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან

თბილისი. გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

ქალაქ ფრუნზედან

ყირგიზეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მებრძოლ ორგანოს — გაზეთ „კომუნისტს“ მისი ოცდახუთი წლისთავის დღეს.

„კომუნისტმა“ სახელოვანი გზა განვლო და დიდი წვლილი შეიტანა იმისათვის ბრძოლაში, რომ საქართველო გამხდარიყო მოწინავე სოციალისტური რესპუბლიკა — მძლავრი საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკათა თანავარსკვლავედის მარგალიტი. დიდი სამამულო ომის წლებში „კომუნისტმა“ დარაზმა მშრომელი მასები გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა გასანადგურებლად, ქართველი ხალხის სახელოვან შვილებს მოუწოდებდა გმირული ბრძოლისაკენ სამშობლოსათვის, სტალინისათვის.

ვუსურვებთ „კომუნისტის“ რედაქციის კოლექტივსა და კორესპონდენტებს შემდგომს წარმატებებს.

ყირგიზეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ვაგოვი

კარელია-ფინეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან

თბილისი. გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

ქალაქ პეტროზავოდსკიდან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური ორგანოს გაზეთ „კომუნისტის“ 25 წლისთავის დღეს გიძღვნით ჩვენს მოლოცვას და გისურვებთ კვლავ მაღლა გეჭიროთ ლენინ-სტალინის დიადი დროშა, განამტკიცოთ საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა, ყოველმხრივ შეუწყოთ ხელი მზიური საქართველოს შემდგომ აყვავებას.

კარელია-ფინეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი
იაკოვლევი

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის სახელით მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მებრძოლ ორგანოს — გაზეთ **„კომუნისტს“** მისი სახელოვანი XXV წლისთავზე.

გაზეთ „კომუნისტს“, როგორც საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციის ყველაზე ძლიერსა და ბასრ იარაღს, დიდი **სტალინის** უახლოესი თანამებრძოლის, ქართველი ხალხის საამაყო შვილის—ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას** ძვირფასი მითითებებით შთაგონებულს, მაღლა ეჭირა **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის ძლევამოსილი დროშა, წარმატებით ასრულებდა და ასრულებს კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და ორგანიზატორის საპატიო როლს.

ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი მშენებლობის წლებში და დიდი სამამულო ომის დღეებში გაზეთი „კომუნისტი“ ქართველ ახალგაზრდობას ზრდიდა დიდი **სტალინისადმი** უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, უნერგავდა მას სამშობლოსადმი წმიდა სიყვარულს.

საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი რწმენას გამოსთქვამს, რომ იუბილარი—ახალგაზრდობის საუკეთესო მეგობარი გაზეთი „კომუნისტი“ მომავალშიც წარმატებით შეასრულებს დაკისრებულ ამოცანებს, დაეხმარება ახალგაზრდა პატრიოტებს დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, კულტურისა და მეცნიერების მიღწევებს, რათა მთელი თავიანთი ენერგია, ნიჭი, უნარი მოახმარონ სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას დიდი **სტალინის** ბრძნული ხელმძღვანელობით.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი

მხურვალე სალამი

კიშინიოვიდან

მხურვალედ მივესალმებით გაზეთ „კომუნისტს“ და ვულოცავთ 25 წლის იუბილეს.

ქართველი ხალხი, რომელმაც მსოფლიოს მისცა დიდი, გენიალური სტალინი, თავგანწირვით იბრძოდა და დაუცხრომლად შრომობდა საბჭოთა სამშობლოსათვის.

ვუსურვებთ გაზეთ „კომუნისტს“ შემდგომ წარმატებებს საქართველოს მშრომელთა დარაზმვაში საბჭოთა სახელმწიფოს ძლევამოსილების ყოველმხრივი გაძლიერებისათვის, საყვარელი სამშობლოს აყვავებისათვის.

გაზეთ „სოვეტსკაია მოლდავიას“ რედაქცია

გისურვებთ ახალ წარმატებებს

ბაქოდან

გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩის“ რედაქცია და მუშსოფლკორები მხურვალედ მიესალმებიან თანამოკალმე ძმებს — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას, მუშსოფლკორებს სახელოვანი 25 წლისთავის დღეს. ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული თანაშემწე — გაზეთი „კომუნისტი“ 25 წლის მანძილზე მგზნებარე სიტყვით აღაფრთოვანებდა საქართველოს მშრომელთა ფართო მასებს სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისა და აღმავლობისა, სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისა, მეცნიერებისა და კულტურის აყვავებისა, ხალხთა სტალინური მეგობრობის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

დიდი სამამულო ომის დღეებში გაზეთი „კომუნისტი“ რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას ზრდიდა სამშობლოსადმი, ბოლშევიკების პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით. გაზეთი დაუღალავად რაზმავდა ფართო მასებს ფრონტისათვის დახმარების აღმოსაჩენად, ჰიტლერული გერმანიის უსწრაფესად განადგურებისათვის.

სულითა და გულით ვუსურვებთ გაზეთ „კომუნისტის“ თანამშრომელთა კოლექტივს, მუშსოფლკორებს ახალ-ახალ წარმატებას მის კეთილშობილურ ნაყოფიერ მუშაობაში.

გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩის“
პასუხისმგებელი რედაქტორი
პისმანი

ხალხთა სტალინური მეგობრობის ტრიბუნი

გაზეთ „სოვეტაკან ჰაიასტანის“ რედაქცია და მთელი კოლექტივი მხურვალე ძმურ სალამს უძღვნიან საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მებრძოლი ორგანოს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მუშაკებს, კორესპონდენტებს და სტამბის მუშებს გაზეთის არსებობის სახელოვანი 25 წლისთავის დღეს.

ბოლშევიკური პრესის ლენინურ-სტალინური ტრადიციების ერთგულმა გაზეთმა „კომუნისტმა“ სახელოვანი საბრძოლო გზა განვლო. „კომუნისტი“ აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიის შექმნაში, საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებაში, ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების ფართობის გადიდებაში, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის შექმნაში.

დიდი სამამულო ომის წლებში გაზეთმა ღირსეულად შეასრულა ხალხთა სტალინური მეგობრობის ტრიბუნის როლი. „კომუნისტმა“ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს მშრომელთა მობილიზებაში და გერმანელ დამპყრობთა საბოლოო განადგურების დაჩქარებაში.

ვულოცავთ რა „კომუნისტის“ რედაქციის კოლექტივს და მის კორესპონდენტებს გაზეთის არსებობის 25 წლისთავს, ვუსურვებთ შემდგომს წარმატებებს ჩვენი დიდი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების პერიოდში. დაე გაზეთის თვითეული ნომერი ემსახურებოდეს ჩვენი პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა, დიდი სტალინის ბრძნულ მითითებათა განხორციელებას.

გაზეთ „სოვეტაკან ჰაიასტანის“ რედაქცია

მებრძოლი თანაშემწე

გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ კოლექტივი მხურვალედ მიესალმება საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლ ორგანოს—გაზეთ „კომუნისტს“ მისი 25 წლისთავის დღეს.

ბოლშევიკური პრესის ლენინურ-სტალინური ტრადიციების ერთგულმა „კომუნისტმა“ სახელოვანი გზა განვლო. ამიერკავკასიის ბოლშევიკური პრესის მუშაკთა ერთ-ერთი სახელოვანი რაზმი, საუკეთესო სტალინელის ამხანაგ ლ. პ. ბერიას მიერ სოციალისტური სამშობლოსადმი, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით აღზრდილი გაზეთი „კომუნისტის“ კოლექტივი ღირსეულად ასრულებს მისთვის დაკისრებულ საპატიო მოვალეობას.

პარტიის ყოველდღიური ყურადღებით გარემოცული გაზეთი „კომუნისტი“ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მეოთხედი საუკუნის მანძილზე საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მებრძოლი თანაშემწე იყო ლენინ-სტალინის დიადი იდეების განხორციელების საქმეში.

უდიდესია გაზეთ „კომუნისტის“ დამსახურება ხალხთა სტალინური მეგობრობის განმტკიცების საქმეში, რესპუბლიკის სოციალისტური რეკონსტრუქციისა და სახალხო მეურნეობის აღმავლობის, კულტურული აყვავებისა და ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საქმეში.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში „კომუნისტმა“ მთელი თავისი მუშაობა დაუქვემდებარა მტერზე საბოლოო გამარჯვების საქმეს, ფართოდ გვიჩვენებდა სამშობლოს პატრიოტებს, ფრონტისა და ზურგის თავდადებულ მებრძოლებს.

ვულოცავთ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მთელ კოლექტივს ოცდახუთი წლისთავის იუბილეს, რომელიც აღინიშნება ჰიტლერულ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის საბოლოო გამარჯვების და მშვიდობიან შრომაზე ჩვენი სამშობლოს გადასვლის პირობებში, ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს მასების დარაზმვის საქმეში სოციალისტურ მშენებლობაში ახალი მიღწევებისათვის, ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის, დიდი **სტალინის** მითითებათა შესრულებისათვის საბრძოლველად.

გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“
პასუხისმგებელი რედაქტორი
ზ. პოლოსიანი

თბილისი

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

პასუხისმგებელ რედაქტორს ამხ. ხახიტაშვილს

მხურვალედ მივესალმებით გაზეთ „კომუნისტს“ — საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლ ორგანოს სახელოვანი 25 წლისთავის დღეს.

დიდი სამამულო ომის წლებში კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი სამშობლოს—სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობა, მათი სიყვარული დიდი რუსი ხალხისადმი, რომელიც ყველაზე უფრო გამოჩენილი ერია საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ ყველა ერთა შორის. კიდევ უფრო განმტკიცდა ქართველი და უკრაინელი ხალხების ძველი მეგობრობაც. უკრაინის მამაცი შვილები, რომლებიც თავიანთ საბჭოთა სამშობლოს იცავდნენ, იბრძოდნენ აგრეთვე მოძმე საქართველოს ღირსებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. სსრ კავშირის სხვა ერების მეომრებთან ერთად საქართველოს მამაცი შვილები მონაწილეობას იღებდნენ საბჭოთა უკრაინის განთავისუფლებაში.

ხალხთა სტალინური მეგობრობის სულისკვეთებით ქართველი ხალხის აღზრდაში უდიდესი როლი შეასრულა გაზეთმა „კომუნისტმა“—ჩვენი პარტიის ბოლშევიკური იდეების მებრძოლმა მქადაგებელმა, მასების კოლექტიურმა ორგანიზატორმა, პროპაგანდისტმა და აგიტატორმა.

ვულოცავთ გაზეთ „კომუნისტს“ 25 წლისთავის იუბილეს, მხურვალედ ვუსურვებთ მას ახალ წარმატებებს მგზნებარე ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით საქართველოს მშრომელი მასების აღზრდაში, ჩვენი სამშობლოს სამხედრო და ეკონომიური ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში, **ლენინ-სტალინის** დიადი საქმისათვის ბრძოლაში.

გაზეთ „რადიანსკა უკრაინის“ რედაქცია

უკრაინელი ხალხის მეგობარი

ოცდახუთი წლისთავის დღეს გულითად სალამს ვუძღვნით გაზეთ „კომუნისტს“ — საქართველოს კომპარტიის მებრძოლ ორგანოს. გისურვებთ ახალ წარმატებებს თქვენ და ქართველ ხალხს, რომელმაც ღირსეული წვლილი შეიტანა გამარჯვების საქმეში, შემდგომ მიღწევებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, უკრაინელ ხალხთან ნაყოფიერი ძმური მეგობრობის შემდგომ განმტკიცებაში.

გაუმარჯოს დიდი რუსეთის მიერ შეკავშირებული ყველა ძმური საბჭოთა რესპუბლიკის ურღვევ კავშირს!

გაუმარჯოს დიდ ბელადსა და მასწავლებელს, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელს ამხანაგ სტალინს!

გაზეთ „პრავდა უკრაინის“ რედაქცია

მებრძოლი ორგანო

გაზეთმა „კომუნისტმა“ ბრძოლისა და გამარჯვების დიდი გზა განვლო.

„კომუნისტი“ წარმატებით ასრულებს იმ უდიდეს როლს, რომელსაც ლენინი და სტალინი ანიჭებენ ბოლშევიკურ პრესას მასების აღზრდის, სოციალისტური მეურნეობის, კულტურის შემდგომი განვითარებისათვის მშრომელთა დარაზმვის საქმეში.

გაზეთმა „კომუნისტმა“ დიდი როლი შეასრულა მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში, ხოლო გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის სამამულო ომის წლებში უაღრესად ნაყოფიერი მუშაობა გასწია მშრომელთა მობილიზაციისათვის ჩვენი საყვარელი ბელადის, უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ **სტალინის** დავალებათა წარმატებით შესასრულებლად, გმირი წითელი არმიისათვის ქმედითი დახმარების გასაწევად.

გორის რაიონს გაზეთი „კომუნისტი“ დიდ დახმარებას უწევს, როგორც პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის, ისე სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში.

გაზეთი თავის ფურცლებზე აშუქებდა რაიონის კოლმეურნეობების მუშაობას, განაზოგადებდა დადებით გამოცდილებას, მკაცრად აკრიტიკებდა ნაკლოვანებებს.

25 წლისთავთან დაკავშირებით მინდა ვუსურვო ჩვენს იუბილარს — გაზეთ „კომუნისტს“ კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს რაიონული და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ნაკლოვანებათა კრიტიკას, აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარებისათვის ბრძოლას, უფრო ხშირად მოათავსოს წერილები პროპაგანდისტების დასახმარებლად და კადრების იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად.

დარწმუნებული ვარ, გაზეთი „კომუნისტი“, ისე როგორც განვლილი 25 წლის მანძილზე, შემდგომშიც წარმატებით შეასრულებს იმ ამოცანებს, რომლებსაც საბჭოთა ხალხს უსახავენ ჩვენი სახელოვანი ბოლშევიკური პარტია და ბრძენი ბელადი, უმაღლესი მთავარსარდალი დიდი **სტალინი**.

გ. მიხანაშვილი
საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანი

სახელოვან იუბილარს

25 წელი შეუსრულდა ჩვენს სახელოვან გაზეთს, საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლ ორგანოს „კომუნისტს“, რომელიც ღირსეულად ასრულებს მასების კოლექტიური აგიტატორის, პროპაგანდისტისა და ორგანიზატორის საპატიო მოვალეობას.

გაზეთმა „კომუნისტმა“ დიდი როლი შეასრულა მრეწველობისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის დარგში პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის.

სამამულო ომის წლებში გაზეთი „კომუნისტი“ ფართოდ აშუქებდა ფრონტებზე შექმნილ მდგომარეობას, მის ფურცლებზე ცეცხლოვანი სიტყვებით იხატებოდა წითელი არმიის მამაცი მეომრების, მათ შორის ქართველი ხალხის სანაქებო შვილების თავდადებისა და გმირობის ამაღელვებელი სურათები. იგი მიმართავდა ხალხს დიდი სტალინის სიტყვებით — „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის“ და რაზმავდა მშრომელებს მტრის გასანადგურებლად.

სახელოვანი იუბილარი დიდ ყურადღებას უთმობს პარტიულ-პოლიტიკური, საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის საკითხებს, მზრუნველობით აშუქებს საკოლმეურნეო ცხოვრებას, მრეწველობის ამოცანებს. „კომუნისტი“ ფართოდ ათავსებს მასალებს ჩვენი რაიონის ცხოვრებიდან.

„კომუნისტი“ აქტიურად გამოეხმაურა ზუგდიდელთა პატრიოტულ თაოსნობას უხვი მოსავლის მისაღებად სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ დასავლეთ საქართველოს რაიონებში.

მხურვალედ მივესალმები გაზეთ „კომუნისტს“ მისი არსებობის 25 წლისთავზე, ვუსურვებ რედაქციის კოლექტივს წარმატებას ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ახალ ბრწყინვალე გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

გ. ჩაჩიბაია
საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი

საქართველოს ბოლშევიკების საყვარელი გაზეთი

ბათუმის რაიონის ბოლშევიკები აღფრთოვანებით მიესალმებიან გაზეთ „კომუნისტს“ მისი სახელოვანი არსებობის 25-ე წლისთავზე.

უდიდესია ქართველი ხალხის სიყვარული „კომუნისტისადმი“. მეოთხედი საუკუნის მანძილზე მას დაუღალავად მიჰქონდა მასებში ლენინ-სტალინის დიადი იდეები. როგორც მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის, ისე სამამულო ომის წლებში „კომუნისტი“ ნერგავდა ჩვენს ხალხში სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულს, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმს.

ჩვენი რაიონის მშრომელთა თავდადებული ბრძოლა სახელმწიფო დავალებათა განუხრელად შესრულებისათვის ყოველთვის პოულობდა და პოულობს თავის გამოხატულებას „კომუნისტის“ ფურცლებზე, რაც უფრო მეტად აღაფრთოვანებს ჩვენს კოლმეურნე გლეხობას და რაზმავს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

საქართველოს ბოლშევიკების საყვარელ გაზეთს და მის კოლექტივს ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს უაღრესად საპატიო და საპასუხისმგებლო მუშაობაში.

ვ. სანიკიძე
საქართველოს კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის მდივანი

ჩვენი დღესასწაული

მახსოვს ის სიხარული, რასაც საქართველოდან შორს, ბრძოლის ველზე მყოფი ქართველები განიცდიდნენ „კომუნისტის“ მიღებისას. ფრონტზე ამ გაზეთის ყოველი ნომრის გამოჩენა ქართველი მებრძოლების დღესასწაული იყო. ვაწყობდით „კომუნისტის“ კოლექტიურ წაკითხვას და ხარბად ვისმენდით ტკბილი ქართულით მოთხრობილ ამბებს.

რა თქმა უნდა განსაკუთრებით საქართველოს ამბები გვაინტერესებდა. არასოდეს დამავიწყდება, რა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ჩემში 1943 წლის 23 ნოემბრის „კომუნისტმა“. ამ ნომერში, მრავალ სხვა მასალას გარდა, მოთავსებული იყო ჩემი სურათი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, ჩემთვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მონიჭების შესახებ. ეს დღე არასოდეს დამავიწყდება.

ჩვენ გვახარებდა და აღგვაფრთოვანებდა „კომუნისტის“ ყოველი სიტყვა, ყოველი სტრიქონი. ამ სიხარულს არასოდეს დაივიწყებენ სამამულო ომის მონაწილენი, რომელთაც „კომუნისტმა“—დღეს სახელოვანმა იუბილარმა ისოდენ შეუმსუბუქა მშობლიური კუთხიდან შორს ყოფნა.

საბჭოთა კავშირის გმირი, უმცროსი ლეიტენანტი ქ. ტუაბლაძე

ბრძოლისაკენ მომწოდებელი

1938 წელს ბევრი ქართველი ახალგაზრდა, მათ შორის მეც, ვსწავლობდით კიევის სამხედრო სკოლაში. ჩვენ გვაინტერესებდა საქართველოს ყოველდღიური ცხოვრება და ვთხოვეთ „კომუნისტის“ რედაქციას გაზეთი გამოეგზავნა. დიდი სიხარული განვიცადეთ, როცა მივიღეთ ქართული გაზეთი.

სკოლის დამთავრების შემდეგ მე დასავლეთ საზღვრებზე მოვხვდი. „კომუნისტი“ აქაც მომდიოდა. გაზეთის წაკითხვისას თვალწინ წარმომიდგებოდა ჩემი მზიური საქართველო და იქ მცხოვრები მშრომელი ხალხი.

სამამულო ომის დროს, 1942 წელს, როცა მტერი გააფთრებით მოიწევდა საქართველოსაკენ, მომიხდა კავკასიის მთებში ბრძოლა. აქ, ბრძოლის ველზე, აღფრთოვანებით წავიკითხე გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი ქართველ მებრძოლთა მიმართვა საქართველოს მშრომელებისადმი.

მტერთან ბრძოლის ცხარე დღეებში საყვარელი გაზეთი „კომუნისტი“ მოგვიწოდებდა გერმანელი დამპყრობლების გასანადგურებლად. იგი რაზმავდა ქართველ ხალხს სამშობლოსათვის საბრძოლველად.

ვუსურვებ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის კოლექტივს მომავალშიც კვლავ წარმატებით ემუშაოს საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საბჭოთა კავშირის გმირი
მაიორი ბ. ბილანიშვილი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს საკითხი „საქართველოს რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნათესების მოვლის შესახებ“ და აღნიშნეს, რომ წლევანდელი ხანგრძლივი გაზაფხული, დაბალი ტემპერატურა და ამ უკანასკნელი დღეების მნიშვნელოვანი ნალექები ხელს უწყობენ სარეველების განვითარებას. ამიტომ ტექნიკური, სათოხნი მარცვლეული კულტურებისა და სათესლე მრავალწლოვანი ბალახების დროულ და ხარისხიან დამუშავებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მიუხედავად ამისა, ბევრ რაიონსა და კოლმეურნეობაში ნათესის გამარგვლა და მწკრივთაშორისი დამუშავება მოწყობილია არადამაკმაყოფილებლად. 1 ივნისისათვის ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული თავთავიანი კულტურების ხელით გამარგვლა. სიმინდის პირველი გათოხნის გეგმა შესრულებულია 6,3 პროცენტით; მზესუმზირისა — 48,5 პროცენტით; შაქრის ჭარხლის პირველი გათოხნის გეგმა შესრულებულია 97,7 პროცენტით, შაქრის ჭარხლის სანაყოფე შტოები გამეჩხერებული და გარჩეულია გეგმის 80,6 პროცენტი, შაქრის ჭარხლის ნათესი გაფხვიერებულია გეგმის 31,2 პროცენტი. ჩამორჩენილია სამუშაო კარტოფილისათვის მიწის შემოყრისა და თამბაქოს პლანტაციების დამუშავების დარგში.

ნათესების დამუშავების მეტად ნელი გაშლა ...

[illegible]

ᲗᲐᲕᲗᲐᲕᲘᲐᲜᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

[illegible]

ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲖᲔᲡᲣᲛᲖᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

[illegible]

ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲭᲐᲠᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

[illegible]

... ხელი და კარგად განვითარებული მცენარე ერთმანეთიდან 18 სანტიმეტრის მანძილზე იმ ანგარიშით, რომ ერთ ჰექტარზე დარჩეს სულ ცოტა 100–110 ათასი ძირი მცენარე;

გ) სავეგეტაციო პერიოდში შაქრის ჭარხლის პლანტაციები იქონიონ სუფთად და ...

[illegible]

ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

ა) გამოარკვიონ გამეჩხერებული პლანტაციები ...

[illegible]

ᲡᲐᲙᲕᲔᲑ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲗᲐ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

[illegible]

ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

[illegible]

ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

[illegible]

... რჩევა მიეცით იმ კოლმეურნეობებს, რომლებსაც საბავშვო ბაგების, ბაღებისა და მოედნების მოწყობის შესაძლებლობა არა აქვთ, მოაწყონ ბავშვების მოვლა ბინაზე, რისთვისაც გააერთიანონ ბავშვები პატარ-პატარა ჯგუფებად და მათი მოვლა დაავალონ გამოცდილ ... მუშათა ხარისხის შემოწმება, ამასთან მკაცრად დაიცვან კოლმეურნეების მიერ შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი. აკრძალონ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნათესების დამუშავების დარგში უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოთა მიღება.

Ი. Მ. ᲡᲕᲔᲠᲓᲚᲝᲕᲘ
(60 ᲬᲔᲚᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ)

დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი გამოჩენილი მშენებელი ი. მ. სვერდლოვი მთე- ...

... რეწველო ქალაქებში. შემდეგ ... მოსკოვში. ... იგი რაზმავს რევოლუციურ მასებს, თვითმპყრობელობის ციხე-სიმაგრის საიერიშოდ. 1905 წელს, რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, სვერდლოვი — „ამხანაგი ანდრეი“, როგორც მას უწოდებდა პარტიული მასა, რუსეთის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში (ეკატერინბურგი, ყაზანი, ნიჟნი-ნოვგოროდი და სხვ.) მოგზაურობს პარტიის დავალებით, ამზადებს მასებს შეიარაღებული აჯანყებისა- ...

[illegible]

... რამდენიმე ყოფნის შემდეგ, 1904 წელს, პარტიის თავალებით მტკიცე ლენინელი სვერდლოვი მოგზაურობს სამხრეთის სამ- ...

... მით იხსენიებს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, შესანიშნავ ბოლშევიკს ი. მ. სვერდლოვს.

ᲚᲔᲜᲐ ᲡᲢᲣᲠᲣᲐ

ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲐ
(ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ 1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲗ)

რაიონები	მაისის გეგმის შესრულება პროცენტობით	რაიონები	მაისის გეგმის შესრულება პროცენტობით
ბათუმი	57,3	ქუთაისი	58,7
ქობულეთი	17,8	წყალტუბო	161,7
გალი	52,3	ტყიბული	29,4
ოჩამჩირე	66,8	ცხაკაია	72,0
გულრიფში	46,6	აბაშა	124,0
სოხუმი	8,3	გეგეჭკორი	74,7
გუდაუთი	24,8	ზუგდიდი	13,8
მახარაძე	12,4	წალენჯიხა	52,8
ჩოხატაური	92,6	ჩხოროწყუ	8,6
ლანჩხუთი	27,5	ხობი	26,7
სამტრედია	117,8	ჩხარი	243,5
წულუკიძე	50,8	ზესტაფონი	104,2

მახარაძის, ზუგდიდისა და ჩხოროწყუს რაიონების ცნობები არასრულია.

ᲝᲥᲠᲝᲡ ᲑᲐᲚᲘ
(ᲒᲐᲚᲘ, „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ)

წინათ აქ მეჩხარი ყოფილა. 1932 წელს გაშენდა ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა, რომლის დირექტორია ორდენოსანი აგრონომი ამხ. დავით ფაილოძე. მეურნეობა გადაშლილია ასობით ჰექტარზე. საუცხოოდ ხარობენ მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, გრეიპფრუტი, აგრეთვე ხურმა, ტუნგო, ბამბუკი...

კოხორელი მეციტრუსენი ომის დღეებში გადამეტებით ასრულებდნენ სახელმწიფო დავალებებს. შარშან ათი მილიონ სამას ორი ათასი ცალი მანდარინის ოქრო ნაყოფი ჩააბარეს დედა-სამშობლოს. გეგმა კი ათ მილიონს ითვალისწინებდა. ლიმონისა და ფორთოხლის დამზადების გეგმებიც ასევე დიდი გადაჭარბებით შეასრულეს.

— გამარჯვების წელს გამარჯვების მოსავალი უნდა მივიღოთ! — ასეთია მეურნეობის ყველა მუშაკის აზრი. აგროღონისძიებათა ზუსტად დაცვით მათ უკვე ჩაატარეს გადაბარვა, პირველი თოხნა, შეიტანეს სასუქი, შეწამლეს მცენარეები და შეასრულეს სხვა მიმდინარე სამუშაოები.

ოთხი აგრორაიონი ეჯიბრება ერთმანეთს. მოწინავეენი არიან პირველი და მეოთხე აგრორაიონები, რომელთაც გამოცდილი აგრონომები ბიძინა ჯანგველაძე და მერი ლაღიძე მეთაურობენ.

პირველი აგრორაიონის მუში, სტახანოველი მარიამ ცაპუსოვა ფრონტელის ცოლია. მას პატარა ბავშვი ჰყავს, მაგრამ დღიურად ხუთ დღე ეჭვს ნორმას ასრულებს. ბარვაა თუ თოხნა, ყოველ საქმეს ხალისით ჰკიდებს ხელს და მადლიანადაც ასრულებს.

აი ლუბა ლოდნევა. მას მკერდს უმშვენებს საამაყო ჯილდო მედალი „კავკასიის დაცვისათვის“. სოფელში ასეთ ადამიანებს ლექსებს უმღერიან:

როცა მწვანე ოქროს კრეფდი
და უვლიდი პლანტაციას, —
შენი მარჯვით,
შენი გარჯით
შენ იცავდი კავკასიას!

აქ შრომის ბევრი ენტუზიასტია.

ვარდობისთვეში ეშხი და სილამაზე შეჰმატა ბუნებას.

ყვავილობს კოხორა — ოქროს ბაღი.

ᲮᲣᲢᲐ ᲑᲔᲠᲣᲚᲐᲕᲐ

ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲜᲝᲠᲛᲐ

ბოგდანოვკის ოლქის ტიმკოვიჩის მტს-ის წარჩინებულმა ტრაქტორისტებმა ვასილ დოხანმა და ვასილ სოკოლოვსკიმ „ხტზ“ მარკის ტრაქტორით მოხნეს 707 ჰექტარი. მათ გადამეტებით შეასრულეს 3 წლიური ნორმა და ამასთან 1.200 კილოგრამზე მეტი საწვავი დაზოგეს. (საქინფორმი).

Ი. Ვ. ᲛᲘᲩᲣᲠᲘᲜᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘ

1945 წლის 7 ივნისს სრულდება ი. ვ. მიჩურინის გარდაცვალების 10 წელი. ტამბოვის ოლქაღმასკომმა გადაწყვიტა ქალაქ მიჩურინსკში ძეგლი აუგოს ბუნების დიდ გარდამქმნელს. ძეგლის ასაგებად საჭირო თანხები გაიღო რსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ.

ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲔᲪᲘᲡ ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲛᲐᲦᲐᲠᲝ

ჭიათურა („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივმა (დირექტორი ამხ. დ. ერგემლიძე) ახალი წარმატება მოიპოვა. მაღარომ მარგანეცის გამოღების და სასაქონლო პროდუქციის დამზადების მაისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. მაისში გეგმის გადამეტებით ამოღებულია 376 ტონა მარგანეცი.

საწარმოო დავალებას გადაჭარბებით ასრულებს მაღაროს ყველა ცვლა. წარმატებით მუშაობენ კენჭოშვილისა და ყიფშიძის უბნები; მაღაროელი სტახანოველები მიროტაძე, ყაველაშვილი, კაკენაძე და თაბაგარი მარგანეცის გამოღების გეგმებს სისტემატურად 160–180 პროცენტით ასრულებენ.

მაღაროს კოლექტივი წარმატებით იბრძვის ნახევარი წლის გეგმის ვადამდე და გადამეტებით შესრულებისათვის.

Პ. ᲨᲘᲝᲥᲐᲫᲔ

ბაქო. ახლად აგებული საცხოვრებელი სახლი.

ფოტო ელიზსკაიასი (საკდესის ფოტოქრონიკა)

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრთა ჯგუფის მიერ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის საკითხზე მოწყობილი პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 3 ივნისი. (საკდესი). წარმომადგენელთა პალატის წევრების ჯგუფმა პროგრესიული დემოკრატების კოფისა და დელესის (ვაშინგტონის შტატისაგან) ხელმძღვანელობით მოაწყო პრეს-კონფერენცია, რათა პრესის წარმომადგენლებისათვის გადაეცა წერილი, რომელიც ჯგუფმა სახელმწიფო მდივნის მოვალეობის აღმსრულებელ გრიუს გაუგზავნა. ამ წერილში დასმულია კითხვა, ხომ არ გადაუხვევს შეერთებულმა შტატებმა რუზველტის პოლიტიკას იმ უთანხმოებათა მოგვარებაში, რომლებიც შეიძლება ორ მოკავშირეს შორის წამოიჭრას. წერილში დასმულია აგრეთვე კითხვები, ხომ არ გადაუხვევს შეერთებულმა შტატებმა რუზველტის პოლიტიკას აღმოსავლეთ ევროპაში, ხომ არ ხდებიან შეერთებული შტატები ინგლისის საგარეო პოლიტიკის დანამატად და ხომ არ შეუკრავთ მათ ბლოკი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

დელესიმ განაცხადა, გრიუმ ამ კითხვებზე უარყოფითი პასუხი გასცაო, და სთქვა, გრიუმ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, იმას, რომ შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არავითარი კონფლიქტი არ არსებობსო.

კორესპონდენტთა შეკითხვების პასუხად — დააკმაყოფილა თუ არა იგი გრიუს უარყოფითმა პასუხებმა, კოფიმ განაცხადა, რომ იგი არ დააკმაყოფილა ამ პასუხებმა, და დასძინა, თუ სან-ფრანცისკოს კონფერენცია მარცხით დამთავრდა, გამოვა, რომ ომი ამაოდ გვიწარმოებიაო. მან განაცხადა, არ შეიძლება დაშვებულ იქნას წარმოშობა გათიშვისა შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის.

დელესიმ განაცხადა, გრიუს პასუხები ძალიან კარგია, მაგრამ სახელმწიფო დეპარტამენტის დეკლარირებული პოზიცია დადასტურებულ უნდა იქნას საქმეებით საერთაშორისო ურთიერთობაშიო.

კონგრესის წევრმა დემოკრატმა ბეილიმ (დასავლეთ ვირგინიის შტატისაგან) განაცხადა, რომ, მისი აზრით, სახელმწიფო დეპარტამენტის განზრახვანი სწორია, მაგრამ მას სურს დარწმუნდეს, ისინი შესრულებული იქნება თუ არა.

კონგრესის წევრმა დემოკრატმა პატერსონმა (კალიფორნიის შტატისაგან) განაცხადა, თანახმა ვარ, რომ პასუხი საუცხოოა, მაგრამ თუ შეერთებულ შტატებში გაგრძელდება უმიზეზო შეურაცხყოფა საბჭოთა კავშირის მიმართ, ძნელი იქნება პასუხების შეხამება მოქმედებასთანო.

შემდეგ კვლავ გამოვიდა კოფი. იგი დაეთანხმა იმას, რომ პასუხები დამაკმაყოფილებელია, და სთქვა, უნდა ველოდოთ მოქმედებას, რომელიც ამ პასუხებს დაადასტურებსო. კოფიმ გაიხსენა, ამას წინათ როგორ მოექცნენ ესპანეთის გენერალურ კონსულს მანილაში, თვალსაჩინო ფალანგისტსა და იაპონიის ჯაშუშს დელ კასტანიოს, აგრეთვე ის, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა მიიღო ტაის ელჩი იმ დროს, როცა მოკავშირეთა თვითმფრინავები ბომბებს უშენენ ბანგკოკს, და განაცხადა: უცნაურია, რომ შეერთებული შტატები ასეთ მეგობრულ დამოკიდებულებას იჩენენ მტრებისადმი და იმავე დროს ასე ეჭვით ეპყრობიან ძლიერ მოკავშირეს, რომლის თანამშრომლობას დიდი მნიშვნელობა აქვს საყოველთაო მშვიდობიანობის უზრუნველყოფისა და სან-ფრანცისკოს კონფერენციის წარმატებისათვის. კოფიმ ხაზი გაუსვა, რომ იგი შეშფოთებულია სიტყვა „წითელის" მუდმივი ხაზგასმით, ვინაიდან ეს ძალიან წააგავს იმ მეთოდებს, რომლებსაც ჰიტლერი იყენებდა.

კოფიმ პასუხი გასცა კორესპონდენტთა შეკითხვებს და განაცხადა: გრიუ ამტკიცებდა, რომ შეერთებული შტატები ინგლისის პოლიტიკას არ მისდევენო.

კოფის განცხადების დამატებად პატერსონმა განაცხადა, რომ გრიუმ შეერთებული შტატების როლი დაახასიათა, როგორც მედიატორის როლი, ვინაიდან შეერთებულ შტატებსა და სხვა დიდ სახელმწიფოებს შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობსო.

კოფის სიტყვით, გრიუმ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი ეჭვიანობას იჩენს, და პატერსონმა შეკითხვა მისცა, საბჭოთა კავშირის ეჭვიანობა გასაგები ხომ არ არის, თუ მხედველობაში მივიღებთ წარსულის გამოცდილებასო. კოფის სიტყვით, გრიუმ განაცხადა, რომ მას საფუძვლით ესმის საბჭოთა კავშირის ეჭვის მიზეზები.

შეეხო რა პოლონეთის მთავრობის გამო იალტის შეთანხმების ინტერპრეტაციას, რაც აგრეთვე განხილულ იქნა წარმომადგენელთა პალატის წევრთა ჯგუფის მიერ გრიუსთან ერთად, დელესიმ სთქვა, რომ, გრიუს განცხადებით, შეერთებული შტატები ასეთ პოზიციას ადგანან: შეთანხმება არ ითვალისწინებდა პოლონეთის ლონდონის ემიგრანტული მთავრობის წევრთა მონაწილეობას და რომ მიკოლაიჩიკი ერთად ერთი ლონდონელი პოლონელია, რომელიც მოხსენიებული იყო. დელესის სიტყვით, გრიუმ განაცხადა, შეერთებულ შტატებს სურთ მხოლოდ ის, რომ პოლონეთში შეიქმნას ჭეშმარიტად წარმომადგენლობითი პოლონური მთავრობაო.

შეეხო რა იმას, რომ სახელმწიფო დეპარტამენტში არიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აშკარად განწყობილი ადამიანები, კოფიმ აღნიშნა, რომ კონგრესის წევრთა ჯგუფმა გრიუს განუცხადა: ხალხს მობეზრდა იმის მოსმენა — სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები როგორ გამოდიან განცხადებებით, რომლებიც შეურაცხყოფენ რუს მოკავშირეს. კოფის განცხადებით, გრიუმ უპასუხა, რომ აზრთა სხვადასხვაობა ყველა ორგანიზაციაშია, მაგრამ გრიუმ არა იცის რა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო დეპარტამენტში არიან რომელიმე ანტისაბჭოთა ელემენტები. ხაზი გაუსვა რა იმას, რომ იგი ამ კატეგორიას არ მიაკუთვნებს გრიუსა და აჩესონს, კოფიმ განაცხადა, რომ, მისი აზრით, სახელმწიფო დეპარტამენტში ზოგიერთი პირი ეხმარება იმ ელემენტებს, რომლებსაც სურთ ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. უკანასკნელთა რიცხვს კოფი აკუთვნებს უწინარეს ყოვლისა კარტელების წარმომადგენლებს და ზოგიერთ სხვა დაჯგუფებებს, რომლებიც დაინტერესებული არიან თვალსაჩინო პოლონელ ემიგრანტთა მიწის საკუთრებით.

დელესიმ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი სახმელეთო სამხედრო სახელმწიფოა, ხოლო შეერთებული შტატები — უდიდესი საზღვაო სახელმწიფო და მათ ერთად შეუძლიათ უზრუნველჰყონ საყოველთაო მშვიდობიანობა. დელესიმ განაცხადა, მე დასაშვებად მიმაჩნია, რომ ინგლისი შეუკავშირდება შეერთებულ შტატებს, და საბჭოთა კავშირს და რომ მას სერიოზულად სურს მშვიდობიანობის უზრუნველყოფა.

კოფიმ განაცხადა, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციაში შეერთებული შტატების მონაწილეობა ამერიკის ისტორიის ერთ-ერთი სამარცხვინო ლაქა არისო.

კორესპონდენტთა შეკითხვებზე პასუხის მიცემისას დელესიმ გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე იმ პოზიციისათვის, რაც მან მსოფლიო პროფკავშირული კონფერენციის დელეგატების მიმართ დაიკავა.

დასასრულ ბეილიმ განაცხადა, შეცდომა იქნებოდა საბჭოთა კავშირის მომხრე გვეწოდებინა იმ ჯგუფისათვის, რომელმაც პრეს-კონფერენცია მოაწყო. იგი უფრო ამერიკის მომხრეა და ისწრაფვის მშვიდობიანობის უზრუნველყოფისაკენ, საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობისაკენ და ანტისაბჭოთა ტაქტიკის შეწყვეტისაკენ. იმ ჯგუფში, რომელიც გუშინ გრიუს ესაუბრა, შედიოდა ყველა, ვინც მისთვის გაგზავნილ წერილს ხელი მოაწერა.

„ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ნაციონალური საბჭოს" მიერ ნიუ-იორკში გამართული მასობრივი მიტინგი

ნიუ-იორკი, 1 ივნისი. (საკდესი). 31 მაისს ნიუ-იორკში შესდგა „ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ნაციონალური საბჭოს" მიერ მოწყობილი მასობრივი მიტინგი, რომელმაც „გაერთიანებულ ერთა ჯარისკაცებისადმი მისალმების" ნიშნით ჩაიარა.

მიტინგზე გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ტრუმენის მიმართვა, რომელშიც ნათქვამია: „მე მოხარული ვარ, რომ მომეცა ეს შესაძლებლობა სათანადო მივუზღო გაერთიანებულ ერთა არმიების მამაკაცებსა და ქალებს, რომლებიც ესოდენ მამაცურად იბრძოდნენ, რათა გაენადგურებინათ ჩვენი საერთო მტერი, აგრეთვე მათს დაღუპულ თანამებრძოლ ამხანაგებს, რომლებმაც უმაღლესი მსხვერპლი გაიღეს ტირანიის დასათრგუნავად. მათ შესაძლებელი გახადეს იმ მაღალ პრინციპებზე დაფუძნებული მტკიცე მშვიდობის დამყარება, რომლებისთვისაც ჩვენ ვიბრძოდით. ამჟამად ჩვენ მთელი ძალ-ღონე უნდა ვიხმაროთ და ერთად ვიშრომოთ, რათა ეს მსხვერპლი ამაო არ აღმოჩნდეს, ამასთან დავამყაროთ მშვიდობა, დაფუძნებული ჩვენს ძირითად ადამიანურ თავისუფლებებზე—სიტყვისა და რელიგიის თავისუფლებაზე, გაჭირვებისა და შიშისაგან თავისუფლებაზე".

წაკითხულ იქნა აგრეთვე სტეტინიუსის მიმართვა, რომელშიც ნათქვამია „მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ საჭიროა მომავალ წლებში უკვდავვყოთ ის თანამშრომლობა, რომელიც ომის განსაცდელში გამოიჭედა".

სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხ. გრომიკომ მიტინგს გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა, რომელშიც მან აღნიშნა, რა, რომ გერმანიაზე გამარჯვებამ ფაშისტური მონობისაგან გაათავისუფლა ევროპის მრავალმილიონიანი ხალხები და მოამზადა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებს შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის პირობები, განაცხადა: „თუ რამდენად წარმატებითი აღმოჩნდება სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის თანამშრომლობა, ამაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება მშვიდობის სიმტკიცე მომავალში. გაერთიანებულ ერთა სან-ფრანცისკოს კონფერენცია ამჟამად მუშაობს მშვიდობის შენარჩუნების საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების შესაქმნელად. ძირითადი პასუხისმგებლობა მომავალი საერთაშორისო ორგანიზაციის საშუალებით მშვიდობის შენარჩუნებისათვის დაეკისრებათ დიდ სახელმწიფოებს, რომლებმაც უზრუნველჰყვეს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვება. მე ნებას ვაძლევ ჩემ თავს გამოვთქვა იმის მტკიცე რწმენა, რომ თანამშრომლობა და სოლიდარობა, რაც დიდმა სახელმწიფოებმა ომში გამოიჩინეს და რამაც გერმანიის მილიტარიზმზე გამარჯვება უზრუნველჰყო, არც მომავალში შემცირდება იმ მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, რომელიც მოპოვებულია აურაცხელი მსხვერპლის ფასად, რაც მშვიდობისმოყვარე ქვეყნებმა გაიღეს ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის ხალხები ისევე თანმიმდევარნი და შეუპოვარნი იქნებიან მტკიცე მშვიდობის მიღწევაში, როგორც თანმიმდევარნი და შეუპოვარნი იყვნენ საერთო მტერზე გამარჯვების მიღწევაში. გაუმარჯოს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ხალხებს შორის მეგობრობას!"

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანმა ამხ. ტარასოვმა თავის მიმართვაში მიტინგს გადასცა საბჭოთა კავშირის მუშათა სალამი.

მიტინგზე გამოქვეყნდა აგრეთვე შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრ უოლესის, ამერიკის შეერთებული შტატების შინაგან საქმეთა მინისტრ იკესისა და ელეონორა რუზველტის მისალმებანი.

მზადება იტალიის მთავრობის რეორგანიზაციისათვის

რომი, 1 ივნისი. (საკდესი). რომში მიმდინარეობს პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელთა თათბირი იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნას შეთანხმება მთავრობის განახლების საკითხში.

30 მაისს შესდგა ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის სხდომა, რომელმაც დაადგინა 9 ივლისს მოწვეულ იქნას პარტიის ნაციონალური საბჭო ჩრდილოეთ იტალიის პროვინციული ორგანიზაციების მდივნებთან ერთად იმ მიზნით, რომ მომზადდეს პარტიის პირველი ნაციონალური ყრილობა და ამ ყრილობაზე განხილულ იქნას „ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისა და სახელმწიფოებრივი მართვა-გამგებლობის ფორმის" საკითხები.

კომპარტიის ლიდერმა ტოლიატიმ და სოციალისტური პარტიის ლიდერმა ნენიმ პრესის წარმომადგენლებს განუცხადეს, რომ ისინი დაჟინებით მოითხოვენ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას ნაციონალური განთავისუფლების ცენტრალური კომიტეტის სხდომა. „მოქმედების პარტიის" ხელმძღვანელობამ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ პარტიას საჭიროდ მიაჩნია შენარჩუნებულ იქნას ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის ერთიანობა.

დააპატიმრეს გერმანიის ყოფილი სარდალი დანიაში ლინდემანი

ლონდონი, 3 ივნისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ გერმანელი გენერალი ლინდემანი 1 ივნისს დააპატიმრეს კუნძულ ფიუნზე, სადაც იგი იმალებოდა პატარა სახლში. ლინდემანი სარდლობდა გერმანიის ჯარებს დანიაში და საერთო აზრის მიხედვით პასუხი უნდა აგოს დანიელების წინააღმდეგ ტერორის პოლიტიკისათვის ოკუპაციის უკანასკნელ პერიოდში. გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ იგი ხელმძღვანელობდა თავისი არმიის ევაკუაციას, შემდეგ კუნძულ ფიუნზე გაიქცა.

პრეზიდენტ ტრუმენის მიმართვა კონგრესისადმი

ნიუ-იორკი, 1 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ტრუმენმა კონგრესს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც ნათქვამია, რომ „დღეს ერის წინაშე პირველ რიგში დგას ამოცანა რაც შეიძლება სწრაფად მოიგოს ომი იაპონიის წინააღმდეგ, ვინაიდან ომის ხანგრძლივობის შემცირების თვითეული დღე ამერიკელთა სიცოცხლის გადარჩენას ნიშნავს".

ტრუმენმა წყნარ ოკეანეში წარმოებული სამხედრო-საზღვაო კამპანიის დაწვრილებითი მიმოხილვა გააკეთა და განაცხადა: „სამხედრო-საზღვაო ფლოტი ამჟამად ასრულებს მთელ რიგ მძიმე ამოცანებს, როგორიც არის: ბრძოლა იაპონიის ავიაციის ქანცის გამოსალევად იაპონიის გარშემო წყლებში და ოკინავასთან, იაპონიის ბლოკადის გაძლიერება, ევროპიდან ძალების გადაყვანა, დახმარება არმიის გადაყვანაში და მზადება გადამწყვეტი ოპერაციებისათვის".

ტრუმენმა ჩამოაყალიბა სამხედრო მოქმედების წყნარი ოკეანის ასპარეზზე ამერიკის ჯარების გადაყვანის, იაპონიის წინააღმდეგ ომის შემდგომი წარმოებისა და ამ ომის საჭიროებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში მასალების წარმოების გეგმები. „ჩვენი სამხედრო პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს იაპონიის განადგურებას, — სთქვა ტრუმენმა, — ითვალისწინებს ჯერ-ერთი, იაპონიის ჯარების შებოჭვას იქ, სადაც ისინი ამჟამად იმყოფებიან, და მათს დაქსაქსულად დატოვებას, რათა შესაძლო გახდეს მათი მოსპობა ნაწილ-ნაწილ; მეორეც, ჩვენი ძალების კონცენტრაციას ფრონტის ყველა უბანზე, სადაც ჩვენ ვებრძვით; მესამეც, გემების, თვითმფრინავების, ჯავშანსატანკო ჯარების, არტილერიის და ყველა სხვა მასალის დიდი რაოდენობით გამოყენებას, რათა გამარჯვება მოპოვებულ იქნას ადამიანთა რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლით; მეოთხეც, განუწყვეტელი, სულ უფრო და უფრო მზარდი შეტევის განხორციელებას მტრის წინააღმდეგ ზღვაში, ჰაერში და ხმელეთზე, ისე რომ სული არ მოვათქმევინოთ მას და საშუალება არ მივცეთ მოახდინოს თავისი შეფერხებული ჯარებისა და მასალების შემცირებული მარაგის რეორგანიზაცია ან გადაჯგუფება ჩვენი შემდგომი იერიშის მოსაგერიებლად".

ტრუმენმა მოიყვანა იაპონიის საზღვაო და საჰაერო ძლიერების, აგრეთვე მისი სახმელეთო ძალების ოდენობის დამახასიათებელი ცნობები და დასასრულ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ და კიდევაც იბრძოლებენ იაპონიის წინააღმდეგ ძლევამოსილ დასასრულამდე.

გენერალ დე გოლის გამოსვლა პრეს-კონფერენციაზე

პარიზი, 2 ივნისი. (საკდესი). როგორც პარიზის რადიო გადმოგვცემს, დღეს გენერალმა დე გოლმა პრეს-კონფერენციაზე განცხადება გააკეთა სირიასა და ლიბანში მომხდარი ამბების გამო. მან დაიწყო მოკლე ისტორიული მიმოხილვით. ძნელია იმის თქმა, აღნიშნა დე გოლმა, თუ რამ განსაზღვრა ლიბანში და განსაკუთრებით სირიაში შექმნილი ვითარება.

შემდეგ გენერალმა დე გოლმა აღნიშნა; ძნელია თქმა, რომ იგივეობა არსებობს ეგვიპტის, ერაყისა და პალესტინის გეოგრაფიულ და პოლიტიკურ მდგომარეობაში. ძნელია აგრეთვე იმის პრეტენზია განვაცხადოთ, რომ თვით სირია წარმოადგენს ერთგვარ ერთიან გეოგრაფიულ და პოლიტიკურ მთელს. გენერალი დე გოლი შეეხო უშუალოდ უკანასკნელ ამბებს, რაც ლევანტის ქვეყნებში მოხდა, და ილაპარაკა ამ რაიონში არსებულ საფრანგეთისა და ბრიტანეთის ძალებზე. მან სთქვა: მაშინ, როცა საფრანგეთის ჯარები გადაყვანილ იქნა ბირ-ჰაკეიმისათვის ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად და ლევანტში დატოვებულ იქნა სულ მხოლოდ 5 ათასამდე ჯარი, ინგლისს აქ 600 ათასამდე კაცი ჰყავდა და მათ შორის მე-9 არმია. შემდეგ გენერალმა დე გოლმა ილაპარაკა ბრიტანეთის მრავალი აგენტის საქმიანობაზე, რომლებიც არეულობას იწვევენ საფრანგეთის ინტერესთა საზიანოდ. მიუხედავად ამისა, საფრანგეთი, სთქვა გენერალმა დე გოლმა, გაურბოდა ამ სიძნელეთა ხსენებას. იგი ზოგჯერ კიდევაც უარჰყოფდა მათს არსებობას. საფრანგეთი ცდილობდა მოლაპარაკება დაეწყო სირიისა და ლიბანის რესპუბლიკებთან, სთავაზობდა მათ ორი ხელშეკრულების დადებას იმ გადაუწყვეტელი საკითხების მოგვარების მიზნით, რომლებიც შეეხება ეკონომიურ პრობლემებს, აგრეთვე ზოგიერთი ბაზის გამოყენების შესაძლებლობას, როგორც ამას სჩადის ინგლისი და ახლა ამერიკის შეერთებული შტატები. 8 მაისს, სთქვა შემდეგ გენერალმა დე გოლმა, ლევანტის ქვეყნების ორივე მთავრობას წინადადება მიეცა ამ თვალსაზრისით. მაგრამ გენერალ ბეინეს განუცხადეს, მოლაპარაკების წარმოება შეუძლებელიაო. ამის შემდეგ ლევანტში დაუყოვნებლივ მოხდა ინციდენტები. შეიარაღებული ბანდები, რომლებიც ხშირად ბრიტანული იარაღით იყვნენ აღჭურვილნი, თავს ესხმოდნენ ცალკეულ ფრანგ მოქალაქეებსა და ფრანგთა საგუშაგოებს. საფრანგეთის ჯარებმა ძლივს მოახერხეს წესრიგის აღდგენა. ასეთი იყო ვითარება 30 მაისს საღამოს, როცა ბრიტანეთის მთავრობამ დაჟინებით მოითხოვა სროლის შეწყვეტა და გვაცნობა, რომ ინიციატივას იგი იღებდა ხელში. 30 მაისს 23 საათზე საფრანგეთის მთავრობამ თავის ჯარებს უბრძანა შეეწყვიტათ სროლა და ადგილზე დარჩენილიყვნენ. შემდეგ გენერალმა დე გოლმა აღნიშნა, რომ ჩერჩილის მიმართვა მას გადაეცა ერთი საათის შემდეგ მას მერმე, რაც იგი იდენმა გამოაქვეყნა თემთა პალატაში. ამ მიმართვას არაფერი არ შეუცვლია საფრანგეთის ჯარებისადმი გაცემულ განკარგულებებში, განაცხადა გენერალმა დე გოლმა, და არც არაფერს შეცვლის. საფრანგეთის მთავრობამ იკისრა ინიციატივა შეეწყვიტა მოქმედება ლევანტში და უბრძანა თავის ჯარებს ადგილზე დარჩენილიყვნენ, რათა თავიდან აეცდინათ შეტაკება მოკავშირეთა შორის. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ გენერალმა დე გოლმა განაცხადა: საფრანგეთმა გარკვეულად განაცხადა, რომ მას სურს აწარმოოს მოლაპარაკება, მაგრამ მას სურს აწარმოოს მოლაპარაკება არაბული ქვეყნების შესახებ საერთო საკითხებზე, რათა გადაწყვეტილ იქნას ახალი ფრიად სერიოზული და ფრიად დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც აღმოსავლეთში წამოიჭრა. აქ ყველა ერს თავისი ინტერესები აქვს. ინგლისმა და შეერთებულმა შტატებმა განსაზღვრეს თავიანთი პოზიციები. სსრ კავშირმა ამ საკითხზე სპეციალური კომუნიკე გამოაქვეყნა. ლევანტის საკითხი, სთქვა შემდეგ გენერალმა დე გოლმა, უნდა გადაწყდეს საერთაშორისო ინტერესთა თვალსაზრისით და არა ამსურდული მეტოქეობის თვალსაზრისით. საფრანგეთის პოზიცია ამ საკითხში სავსებით მკაფიოდ არის გარკვეული და საერთაშორისო თანამშრომლობა ისე უნდა გამოვლინდეს, როგორც ეს გათვალისწინებულია სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე.

სანამ თავის განცხადებას დაამთავრებდა, მთავრობის მეთაურმა გამოსთქვა ღრმა მეგობრობის გრძნობა, რომელიც აკავშირებს ფრანგ და ბრიტანელ ხალხებს.

შემდეგ გენერალმა დე გოლმა სთქვა, რომ ფრანგი ხალხი თავისი მთავრობის გარშემო იმისათვის გაერთიანდა, რომ პატივი სცენ მის ინტერესებს.

დამასკოსათვის დაშენის თაობაზე გენერალმა დე გოლმა სთქვა: დიახ, დამასკოს სროლა ავუტეხეთ, მაგრამ ამ სროლაში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ერთი საარტილერიო ბატარეა და ერთადერთი თვითმფრინავი.

ამ საერთაშორისო საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა, რომ შეიკრიბონ ამ საკითხით დაინტერესებული ყველა მხარე.

მდგომარეობა სირიასა და ლიბანში

ლონდონი, 3 ივნისი. (საკდესი). ლონდონის რადიო იუწყება, რომ ინგლისის ჯარები შევიდნენ ალეპოსა და სხვა საზღვაო ქალაქებში, აგრეთვე დამასკოში. სირიისა და ლიბანის ბევრ რაიონში შემოღებულია საალყო წესები.

ნიუ-იორკი, 3 ივნისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ავტორიტეტული წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, ინგლისის სარდლობას განზრახული აქვს მიაღწიოს სირიის დასახლებული რაიონებიდან საფრანგეთის მთელი ჯარების იზოლირებულ ბანაკებში გაყვანას. სირიაში საფრანგეთის ჯარების საბოლოო განლაგების საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი.

საფრანგეთის ჯარების ევაკუაცია დამასკოდან

ნიუ-იორკი, 3 ივნისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი დამასკოდან იუწყება, საფრანგეთის ჯარები და ჯავშანსატანკო ნაწილები დამასკოდან გაჰყავთ. საფრანგეთის ქვეითი ჯარი გაჰყავთ ღამით იმისათვის, რომ ამან მეტად დიდი ყურადღება არ მიიპყროს, სატანკო ნაწილები კი დღისით გაჰყავთ. ჯარები უკან იხევენ მეზეს აეროდრომს იქით, რომელიც რვა მილით არის დაშორებული დამასკოს.

კოპენჰაგენის მოსახლეობამ აღტაცებული შეხვედრა მოუწყო საბჭოთა დელეგაციას

სტოკჰოლმი, 3 ივნისი. (საკდესი). შვედური გაზეთები დიდი სათაურებით თვალსაჩინო ადგილას აქვეყნებენ დაწვრილებით ანგარიშს გენერალ-მაიორ კოროტკოვის მეთაურობით საბჭოთა ოფიცრების ჯგუფის კოპენჰაგენს მისვლის შესახებ და აწერენ ზეიმსა და ოვაციებს, რომლებითაც დანიის დედაქალაქის მოსახლეობა წითელი არმიის წარმომადგენლებს შეხვდა.

გაზეთ „სტოკჰოლმს ტიდნინგენის" კოპენჰაგენელი კორესპონდენტი სწერს, რომ დანიაში გულწრფელად და აღტაცებით მიესალმებიან წითელ არმიას. გაზეთ „დაგენს ნიუჰეტერის" კორესპონდენტი დაწვრილებით აწერს საბჭოთა ოფიცრების შეხვედრას, რომელიც, მისი სიტყვით, ნამდვილ სახალხო დღესასწაულად გადაიქცა. იგი სწერს, რომ ათასობით დანიელი საბჭოთა ალმებით მიესალმებოდა გენერალ-მაიორ კოროტკოვს. „ბურმაისტერ ოგ ვაინის" ვერფების მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა და საბჭოთა ოფიცრებს გულმხურვალე შეხვედრა მოუწყეს. კოპენჰაგენელი კორესპონდენტები აწერენ მეფის მიერ გენერალ-მაიორ კოროტკოვის მიღებას, საზეიმო წარმოდგენას ოპერაში და სადილს, რომელიც დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ქრისტმას მელერმა გამართა საბჭოთა ოფიცრების პატივსაცემად.

ამერიკელი იურისტები ომის დამნაშავეთა გასამართლების შესახებ

სან-ფრანცისკო, 2 ივნისი. (საკდესი). იურისტთა ნაციონალურმა გილდიამ პრესის წარმომადგენლებს გადასცა განცხადება, სადაც ჰგმობს ჟურნალ „ლაიფის" სტატიას, რომელიც ამტკიცებს, ევროპაში კანონის იდეის პროპაგანდას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, ვიდრე ნაცისტების გასამართლებასო.

გილდიის წარმომადგენლებმა თავიანთ განცხადებაში აღნიშნეს, რომ კანონი ევროპაში არ შეიძლება განმტკიცებულ იქნას ომის ყველა დამნაშავეთა დაუსჯელად. საზოგადოების უფლება და მოვალეობაა დაიცვას თავი უკანონობის წინააღმდეგ. ეს მორალური პრინციპი ხორცშესხმულია ყველა ცივილიზებული ქვეყნის იურიდიულ კოდექსებში.

მოიხსენიეს რა დიდი შეთქმულებანი, მიმართულნი საზოგადოებრიობის მოტყუებისა და დაშინებისაკენ, გილდიის წარმომადგენლებმა განაცხადეს: „ჩვენ საქმე გვაქვს ისტორიაში უდიდეს შეთქმულებასთან, რომელიც მოფიქრებული იყო ნაცისტური მთავრობის მიერ. შეთქმულების გეგმა შეიმუშავეს სამხედრო ქარხნების მფლობელებმა და შეასრულეს ნაცისტთა ლიდერებმა, მოიერიშეებმა, გესტაპოელებმა გერმანიისა და დაპყრობილი ქვეყნების ყოველ დიდ თუ პატარა ქალაქსა და სოფელში. ყოველ შეთქმულს ბრალი მიუძღვის საზოგადოების წინააღმდეგ, ამერიკელთა წინააღმდეგ დანაშაულში, და ყოველი შეთქმული უნდა დაისაჯოს".

მუსოლინის გასამართლება, გილდიის აზრით, სავსებით სამართლიანი იყო იურიდიული თვალსაზრისით. ეს იმ სწრაფი საიმედო მართლმსაჯულების ნიმუშია, რომელსაც რუზველტი იალტაში შეგვპირდა და რომელიც გვერდს უვლის ზედმეტ იურიდიულ ხრიკიანობას. გილდიამ ასეთივე სასჯელი მოითხოვა გერინგის, ლეის, შტრაიხერის, დენიცის, იოდლის, ტისენის, შახტის, კრუპისა და სხვებისათვის.

დევისი ვაშინგტონს დაბრუნდა

ნიუ-იორკი, 4 ივნისი. (საკდესი). ასოშიეტედ პრესის სააგენტოს ცნობით, შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი სსრ კავშირში დ. დევისი, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ტრუმენის დავალებით ლონდონი ინახულა, გუშინ ვაშინგტონს დაბრუნდა.

[illegible]

სსრ კავშირის XIV პირველობა ჭადრაკში

[illegible] ლიურ დაცვაში მაესტრო რუდაკოვსკიმ, რომელიც შავებით ეთამაშებოდა გროსმაისტერ სმისლოვს, ვერ მოახერხა დაეძლია დებიუტის სიძნელენი. ლაზიერის დაკარგვის საფრთხის წინაშე რუდაკოვსკი 28-ე სვლაზე დანებდა. ეს არის გროსმაისტერ სმისლოვის პირველი მოგება.

მაესტრო რაგოზინისა და გროსმაისტერ კოტოვის პარტიაში თეთრებმა წარუმატებლად გაითამაშეს დებიუტი, შემდეგ კი არასწორად შესწირეს პაიკი. 32 სვლაზე რაგოზინმა პარტია წააგო. ეს არის რაგოზინის მეორე წაგება ზედიზედ.

გროსმაისტერი ბოტვინიკი ეთამაშებოდა ტოლუშს. მან აირჩია ფრანგული დაცვის ისეთივე ვარიანტი, როგორც შარშან სმისლოვის წინააღმდეგ. გადადებულ პარტიაში პოზიციის უპირატესობა ბოტვინიკის მხარეზეა.

ბრონშტეინმა 27-ე სვლაზე მოუგო რატნერს.

მეტად მწვავედ ვითარდებოდა ბრძოლა გროსმაისტერ ფლორისა და მაესტრო კანის პარტიაში. ფლორმა საინტერესოდ შესწირა ხარისხი, მიიღო ძლიერი იერიშის საშუალება და პარტია მოიგო.

ლილიენტალ-ალატორცევის პარტია გადადებულია ალატორცევის უპირატესობით. მაესტრო ჩეხოვერისა და გროსმაისტერ ბონდარევსკის პარტიაში შედეგი დიდხანს გაურკვეველი იყო. ცაიტნოტში ბონდარევსკიმ ვერ შეამჩნია ფიგურის დაკარგვა და ახლა პარტია უნდა წააგოს.

სპორტის დამსახურებულ ოსტატ რომანოვსკისა და მაესტრო ბოლესლავსკის პარტიაში შავებმა საინტერესო მანევრით მოახერხეს პაიკის მოგება. პარტია გადადებულია ბოლესლავსკისათვის მოგების მცირე შანსებით.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ გადადებულია აგრეთვე ლატვიის ჩემპიონ კობლენცისა და მაესტრო გოლდბერგის პარტია. გოლდბერგს მოგების კარგი შანსები აქვს.

3 ივნისს გათამაშდება მესამე ტური. ბოტვინიკი ეთამაშება კობლენცს, გროსმაისტერი კოტოვი შეხვდება გროსმაისტერ სმისლოვს.

[illegible] პარტიები. გროსმაისტერი ბოტვინიკი შეხვდა ლატვიის ჩემპიონ კობლენცს. გათამაშებულ იქნა ლაზიერის გამბიტის ჩქარი დაცვა. ბოტვინიკმა დებიუტშივე მიიღო უფრო თავისუფალი მდგომარეობა. თეთრების ფიგურებმა მშვენიერი პოზიციები დაიკავეს შავების მეფის ფლანგზე იერიშის მისატანად. კობლენცმა ორი ფიგურა გასწირა ეტლში, მაგრამ, მიუხედავად ამ მსხვერპლისა, მისი პოზიცია უიმედო აღმოჩნდა. 26-ე სვლაზე იგი დანებდა.

ორი გროსმაისტერის — კოტოვისა და სმისლოვის პარტია გადადებულია. კოტოვს უპირატესობა აქვს.

ტრაგიკული ფინალი მოჰყვა მაესტრო კონსტანტინოპოლსკისა და გროსმაისტერ ფლორის პარტიას. ფლორმა აირჩია მისთვის საყვარელი კაროკანის დაცვა. თამაშმა მძაფრი ხასიათი მიიღო. კონსტანტინოპოლსკიმ მოახერხა მცირე პოზიციური უპირატესობის მიღება. ფლორმა ვერ მოასწრო სწრაფი სვლის გაკეთება და დამარცხებად ჩაეთვალა დროის დაკარგვა.

ბოლესლავსკი და ბრონშტეინი 33-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

გროსმაისტერ ბონდარევსკისა და მაესტრო ალატორცევის პარტია 27-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

რუდაკოვსკი და ჩეხოვერი 39-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

მაესტრო კანისა და მაესტრო ტოლუშის პარტია კანის გამარჯვებით დამთავრდა.

გროსმაისტერ ლილიენტალისა და სპორტის დამსახურებულ ოსტატ რომანოვსკის პარტია გადადებულია.

გოლდბერგისა და რაგოზინის პარტია კურიოზულად დამთავრდა. დაახლოებით თანაბარი პოზიციის მქონე რაგოზინმა მოწინააღმდეგეს ყაიმი შესთავაზა. გოლდბერგმა უარი თქვა, სვლა გააკეთა და... სამი სვლის შემდეგ მატი მიიღო.

3 ტურის შემდეგ წინ არის გროსმაისტერი ბოტვინიკი, რომელსაც 2 პარტიაში 2 ქულა აქვს და 1 პარტია გადადებული აქვს მოსაგებ მდგომარეობაში. (საკდესი).

ფეხბურთი

თბილისის „დინამოს" მორიგი გამარჯვება

3 ივნისს მოსკოვში, სტალინგრადსა და კიევში შესდგა მეოთხე კალენდარული დღის შეხვედრები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში („ა" ჯგუფი).

სტალინგრადში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოსა" და სტალინგრადის „ტრაქტორის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. როგორც პირველ, ისე მეორე ტაიმში უპირატესობა თბილისელებს ჰქონდათ. გაიმარჯვა თბილისის „დინამოს" გუნდმა ანგარიშით — 4:0.

თბილისის „დინამომ" უკვე მეოთხე შეხვედრა მოიგო ზედიზედ. მოწინააღმდეგის კარში თბილისელებმა გაიტანეს 13 ბურთი, ხოლო თავიანთ კარში არ მიუღიათ არც ერთი.

ამავე დღეს მოსკოვში „დინამოს" სტადიონზე წითელი არმიის ცენტრალური სახლის ფეხბურთელთა გუნდისა და ლენინგრადის „ზენიტის" შეხვედრა დამთავრდა წითელარმიელ ფეხბურთელთა გამარჯვებით, ანგარიშით 1:0.

მოსკოვის „დინამოს" მორიგი შეხვედრა კიევში, კიევის „დინამოსთან", მოსკოვის „დინამოს" სასარგებლოდ დამთავრდა ანგარიშით — 5:1.

ამრიგად, სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ლიდერი კვლავ თბილისის „დინამოა", რომელმაც ოთხი ჩატარებული მატჩიდან მოიგო ოთხივე და 8 შესაძლებლიდან მოაგროვა 8 ქულა.

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა — 5/VI — „ქეთო და კოტე", 6/VI — „ამაო სიფრთხილე". **რუსთაველის სახელობის** — 5/VI — „ხევისბერი გოჩა", 6/VI — „ერთი ღამის კომედია". **მარჯანიშვილის სახელობის** — 5, 6/VI — „ფიქრის გორა". **გრიბოედოვის სახელობის** — 5, 6/VI — „ტყე". **მუსიკალური კომედიის** — 5/VI — „არშინ-მალ-ალან", 6/VI — „მზის დაბნელება". **სანკულტურის** — 5/VI — „სევდიანი რომანი". **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — 5/VI — „ტირიფის ქვეშ", 6/VI — „რომეო და ჯულიეტა". **რუსული** — 5/VI — „ვერაგობა და სიყვარული", 6/VI — „ცხოვრობდა სამი ამხანაგი".

კინოებში

5 ივნისს: **რუსთაველის სახელობის და ოქტომბერი** — „კაცი № 217". **დამკვრელი** — (საზაფხულო და ზამთრის) — „განთავისუფლებულ საფრანგეთში". **კომკავშირელი** (საზაფხულო და ზამთრის) — „სიმღერა სიყვარულზე". **სპარტაკი** — „ედისონი". **ლუქსემბურგის სახელობის** — „სიმღერა რუსეთზე". **26 კომისრის სახელობის** — „მდიდარი საცოლე".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

მოქალაქე **გრიგოლ იასონის-ძე დეკანოსიძემ**, მცხოვრებმა ცხრა ძმის ქ. № 77, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ქსენია სილოვანის-ასულ რობაქიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლოში.

ძმა შალვა, რძალი პუპული, ძმისწულები მერი, მერაბ, მურმან სუპატაშვილები იუწყებიან **ნესტორ მინას-ძე სუპატაშვილის** გარდაცვალებას, დაკრძალვა 6/VI, სოფ. დიხაშხოში.

მეუღლე ექიმი ვლადიმერ არღუთინსკი, მამა რაჟდენ, და რუსუდან გაგუა იუწყებიან **ელენე ქუთათელაძე-არღუთინსკის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5/VI, 8 ს. გამოსვენება 6/VI, 6 ს. ქ. ცეტკინის, 53.

მეუღლე ნინო, შვილები ელენე, მარიამ, სიძე ნიკოლოზ ჯანდიერი შვილებით იუწყებიან **ხარიტონ ზურაბის-ძე ფაჩულიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6/VI, 7 ს. გამოსვენება 7/VI, 6 ს. ლენინის, 47.

მეუღლე ვანო, შვილი- ჯემალი, დედა ფუფუ, დები ლასიონ, ანეტა, თამარა, ბრიონა, დედამთილი ოლია, მულები: ტატიანა, თინა, სიძე ექიმი მიხეილ ნემსაძე იუწყებიან **ფუფუნა ქარცივაძე-წიწვიაძის** გარდაცვალებას, გამოსვენება 5/VI, ხოშტარიას ქ. № 32.

მეუღლე დავით, შვილები ალექსანდრე, ირაკლი, ოთარ, დედა ნუცა, ძმები ივანე, სანდრო, შალვა ცოლ-შვილით, და თამარ ქმარ-შვილით იუწყებიან **ტასო შავიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 5/VI, 5 ს. ბაქრაძის, 15.

თბილისის ქალთა მე-6 საშუალო სკოლის მოსწავლეები ნინელი და ცისანა ჯაში იუწყებიან მასწავლებელ **ნინო (ფუფუნა) ქარცივაძის** გარდაცვალებას.

სტალინის რაიონის საბინაო სამმართველოს მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან ზურაბ გამყრელიძის მამის, **არჩილის** გარდაცვალებას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან კათედრის გამგის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ვლ. ჟღენტის დედის **ანა ჟღენტის** გარდაცვალებას.

თბილისის ქალთა მე-6 საშუალო სკოლის VII² კლასის მოსწავლეები იუწყებიან მასწავლებელ **ნინო (ფუფუნა) ქარცივაძის** გარდაცვალებას.

თბილისის ქალთა მე-6 საშუალო სკოლის პედკოლექტივი იუწყება მასწავლებელ **ნინო (ფუფუნა) ქარცივაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 5/VI, ხოშტარიას, 32.

ნინო, გივი, მისა იუწყებიან ბიძაშვილის **ავქსენტი გიორგის-ძე ჭყონიას** გარდაცვალებას.

მეუღლე ნუცა, შვილები ოთარ, თინა იუწყებიან **ვალიკო დავითის-ძე ბაქრაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5/VI, 7½ ს. გამოსვენება 6/VI, 6½ ს. ბაქრაძის, 6.

დედა ოლინკა, შვილები ელენე, მარო შურა, შვილიშვილი ზინა, სიძეები ავქსენტი მახარაძე, არტემ რამიშვილი იუწყებიან **ვერა დათუნაიშვილის** გარდაცვალებას.

დაკარგულია ბოლნისის რაიკომკავშირის საგზაო [illegible] მრგვალი ბეჭედი და შტამპი. ხ. გ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91,800 უე 07258